თავი 2
ბიზნესის კვლევის კონცეპტუალური საფუძვლები

- კვლევის არსი და საბაზისო ელემენტები
- კვლევების კლასიფიკაციის პრინციპები
- კვლევისათვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები და სტანდარტები
- დასკვნა
- საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის
- საკონტროლო კითხვები და დავალებები
- საგამოცდო ტესტები

კვლევის არსი და საბაზისო ელემენტები

სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ზუსტი და ამომწურავი მეცნიერული ცოდნის მიღება გარე სამყაროსა და მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ. ზოგადად, *მეცნიერული ცოდნა* არის ბუნების, საზოგადოების, აზროვნების კანონების შესახებ ცოდნათა სისტემა. ეს არის ცოდნის სპეციალური სახე, რომელიც, მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებების თანახმად, უწინარეს ყოვლისა, ხასიათდება გარკვეულ ობიექტურ რეალობასთან დაპირისპირების შესაძლებლობით.

მეცნიერული ცოდნის აუცილებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება ობიექტის შესახებ წარმოდგენის ნაკლებობა ყოველდღიური აზროვნებისა და გაერთიანებული ცოდნის ფარგლებში. ამასთან, რეალობასთან დაპირისპირების საფუძველზე მეცნიერული ცოდნის კონკრეტული სისტემები ფასდება როგორც სრული, ჭეშმარიტი, ადექვატური, ობიექტური, ზუსტი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეცნიერული ცოდნა ის ცოდნაა, რომელიც ემყარება აზროვნებასაც და გამოცდილებასაც. მეცნიერები იყენებენ ლოგიკური სისწორისა და ემპირიული დამტკიცების კრიტერიუმებს იმისათვის, რათა შეაფასონ, თუ რამდენად მართებულია პრეტენზია ცოდნაზე. ეს ორი კრიტერიუმი არ არის გადატანილი კვლევით აქტივობებში, რომელთაც მეცნიერები ახორციელებენ.

კვლევის ბუნება და განსაზღვრება: კვლევის პროცესი არის აქტივობათა ზოგადი სქემა, რომელშიც მეცნიერები ჩართულნი არიან ცოდნის „წარმოების" მიზნით. ეს არის მეცნიერული კვლევის პარადიგმა **(ნახაზი 2.1.).**

როგორც ჩანს, კვლევის პროცესი შედგება შვიდი მთავარი საფეხურისაგან: (1) პრობლემის დასმა, (2) ჰიპოთეზა[1], (3) კვლევის დიზაინი, (4) გაზომვა, (5) მონაცემთა შეგროვება, (6) მონაცემთა ანალიზი და (7) განზოგადება. თითოეული ეს საფეხური გავლენას ახდენს თეორიაზე და, თავის მხრივ, თვითონაც განიცდის თეორიის გავლენას. აქ ჩვენ შემოვიფარგლებით კვლევის პროცესის მხოლოდ ზოგადი სურათის მიმოხილვით.

კვლევის პროცესის მთავარი დამახასიათებელი თვისება არის მისი ციკლური ხასიათი. იგი, როგორც წესი, იწყება პრობლემის დასმით და სრულდება საცდელი ემპირიული განზოგადებით. განზოგადება, რომელიც ასრულებს ერთ ციკლს, თავის მხრივ, იწყებს მომდევნო ციკლს, რამდენადაც შესაძლოა მიღებულმა შედეგებმა ახალი საკვლევი პრომლემა წამოჭრას, რაც ციკლის განმეორებას გამოიწვევს. ეს ციკლური პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და მეცნიერულ პროგრესს ასახავს.

მეცნიერები ლოგიკურად და ემპირიულად ამოწმებენ საცდელ განზოგადებებს, ჰიპოთეზებს საკვლევი პრობლემების შესახებ. თუ ისინი უარყოფენ ამ განზოგადებებს, ახდენენ ახლის ფორმულირებასა და შემოწმებას. ხელახალი ფორმულირების პროცესში მეცნიერები განმეორებით აფასებენ კვლევის ოპერაციებს, რადგან საცდელი განზოგადება შეიძლება უარყოფილ იქნას არა იმიტომ, რომ იგი არასწორია, არამედ

[1] *ჰიპოთეზა (ბერძნულიდან hypotheses - დასაბუთება)* - რაიმე იდეა, მოსაზრება, რომელიც ემპირიულ მტკიცებულებებით უნდა შემოწმდეს, რის შედეგადაც ჰიპოთეზა მიღებული ან უარყოფილი იქნება. *ემპირიული მტკიცებულება* - დაკვირვებით, გამოცდილებით მიღებული მონაცემები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას განზოგადებისათვის (დასკვნების ან გამოთვლებისათვის).



ნახაზი 2.1. კვლევის პროცესის ზოგადი სურათი

იმიტომაც, რომ კვლევით ოპერაციებში შეცდომები იქნა დაშვებული. მაგალითად, მკვლევარმა შეიძლება უარყოს განზოგადება, რომ ეკონომიკურ კრიზისს ბიზნესის შემოსავლების შემცირებამდე მივყავართ, თუ იგი ლოგიკურად სწორი და ემპირიულად დამტკიცებული არ იქნება. მაგრამ განზოგადების უარყოფა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ჭეშმარიტია, თუ დამტკიცებისა და ვერიფიკაციის პროცედურები (მაგალითად, კვლევის დიზაინი, გაზომვა, მონაცემთა ანალიზი) არ დგას სათანადო დონეზე.

ჭეშმარიტი განზოგადების უარყოფის რისკის შესამცირებლად მეცნიერი მუდმივად ამოწმებს კვლევის პროცესის თითოეულ საფეხურს მანამ, სანამ ახალი განზოგადების ფორმულირებას მოახდენდეს. სწორედ ამის გამო ითვლება, რომ მეცნიერული მეთოდოლოგია თავად ასწორებს საკუთარ შეცდომებს. იდეები და თეორიები მოკლებულნი არიან ამ თავისებურებას, რამდენადაც მათი დანიშნულება არის უფრო ახსნის მოცემა, ვიდრე საკუთარი მტკიცებების შემოწმება.

დაბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ კვლევის პროცესი, როგორც აქ არის წარმოდგენილი, ასე ვთქვათ, იდეალიზებულია. ეს არის სამეცნიერო პრაქტიკის რაციონალური რეკონსტრუქცია: რეკონსტრუქცია ახდენს მეცნიერული ლოგიკის იდეალიზებას მხოლოდ იმის ჩვენებით, როგორი იქნებოდა იგი, თუ უკიდურესად დავხვეწდით მას[2]. მაგრამ ყველაზე დიდი მეცნიერებიც კი ვერ იქნებიან მთლიანად და სრულყოფილად ლოგიკურები. პრაქტიკაში კვლევის პროცესი აღმოცენდება: (1) ზოგჯერ სწრაფად, ზოგჯერ ნელა; (2) ზოგჯერ ფორმალიზაციის მაღალი ხარისხით და ენერგიულად, ზოგჯერ სრულიად არაფორმალურად, გაუთვითცნობიერებლად და ინტუიტურად; (3) ზოგჯერ რამდენიმე მეცნიერს შორის სხვადასხვა როლში ინტერაქციით (მაგალითად, თეორეტიკოსი, კვლევის ხელმძღვანელი, ინტერვიუერი, მეთოდისტი, შერჩევის ექსპერტი, სტატისტიკოსი და ა.შ.), ზოგჯერ კი ერთი კონკრეტული მეცნიერის ძალისხმევით; (4) ზოგჯერ მხოლოდ მეცნიერის წარმოსახვაში, ზოგჯერ რეალურად[3].

[2] *უნდა შევნიშნოთ,* რომ კვლევის პროცესის ეს იდეალიზებული რეკონსტრუქცია არა უნივერსალიზმს (მის შეუვალ ჭეშმარიტებად აღიარებას), არამედ მეცნიერული კვლევის საფუძვლებისა და ზოგადი კანონზომიერებების გამოხატვას ისახავს მიზნად.

[3] *ვრცლად იხილეთ:* კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. პირველი ქართული გამოცემა / ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბილისი, 2009, გვ. 48-49: https://sites.google.com/a/ iliauni.edu.ge/iliaunibook/ kvlevis-metodebi-sotsialur-metsnierebebshi



ნახაზი 2.2. კვლევის პროცესის ზოგადი მოდელი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახალი ცოდნის მიღებასა და გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა.

კვლევის როგორც საქმიანობის სახის განხილვისას კვლევის პროცესის ზოგადი მოდელი შესაძლებელია წარმოვადგინოთ **2.2. ნახაზის** სახით.

იმის მიუხედავად, რომ კვლევა აკადემიური საქმიანობის ცენტრალური საკითხია როგორც ბიზნესის, ისე ნებისმიერ სხვა სფეროში, მაინც არ არსებოს ერთიანი აზრი იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორ უნდა განისაზღვროს იგი. ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა შეხედულებების გათვალისწინებით, დასაწყისისთვის ტერმინი „კვლევა" შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

კვლევა - ეს არის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესი.

ამ განსაზღვრებაში ასახული თითოეული სიტყვა მოითხოვს სპეციალურ განმარტებას. კერძოდ, გასარკვევია საკითხები იმის თაობაზე, თუ: რა არის და როგორ შევაგროვოთ ინფორმაცია; უნდა გავზომოთ რაიმე მაჩვენებელი თუ გამოვკითხოთ ვინმე; როგორ დავამუშავოთ და გავაანალიზოთ მიღებული ინფორმაცია; დაბოლოს, როგორ მოვახდინოთ მისი ინტერპრეტაცია ანუ, როგორ გავაფორმოთ და წარმოვადგინოთ მიღებული შედეგები. ყველა ეს საკითხი განხილულია წინამდებარე სახელმძღვანელოში.

ეჭვგარეშეა, რომ სამეცნიერო კვლევის ჩატარება შესაძლებელია გარკვეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც გულისხმობს კვლევის პროცესის სათანადო დაგეგმვას, სხვადასხვა ინსტრუმენტისა თუ დამხმარე მასალის, რეკომენდაციებისა და სხვათა მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას[4]. ამასთან, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია მკაცრი საშემსრულებლო დისციპლი-

[4] *როგორც წესი,* მკვლევარმა უნდა გამოიყენოს თეორიული დებულებები და კვლევის ტექნიკა და პროცედურები პრაქტიკული საკითხებისა და რეალური პრობლემების შესასწავლად.

ნა, კვლევის პროცესის გარკვეული თანმიმდევრულობა და სისტემატურობა.

სამეცნიერო კვლევა მეთოდურია, რადგანაც არსებობს განსაზღვრული პროცედურებისა და ეტაპების ერთობლიობა, რომელსაც მკვლევარმა აუცილებლად უნდა მისდიოს; სამეცნიერო კვლევების პროცესში არსებობს გზები, რომლებიც აუცილებელია აკურატული და ზუსტი შედეგების მისაღებად. ამასთან, სამეცნიერო კვლევა ორგანიზებულია, რადგანაც სამეცნიერო კვლევის წარმართვისათვის არსებობს სტრუქტურული სქემები და მეთოდები. კვლევა არა სპონტანური, არამედ დაგეგმილი პროცესია და მიმართულია კონკრეტული, სპეციფიკური მიზნების მიღწევაზე.

ბუნებრივია, რომ კვლევა ტარდება გარკვეული ცოდნის მისაღებად, რაიმე ახალი მოვლენის შესასწავლად ან ძველი დებულების ახალ ვითარებაში შესამოწმებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ კვლევა ისეთი პროცესია, რომელიც ზრდის ჩვენს ცოდნას[5]. ამასთან, ნებისმიერი კვლევის მიზანია საკვლევი სპეციფიკური კონკრეტული საკითხის შესწავლა, გამოკვლევა, გამოძიება ცოდნის გენერირების მიზნით. მაშასადამე, კვლევის შედეგად მკვლევარის ცოდნა საკვლევი საკითხის შესახებ უნდა გაიზარდოს. თუ ცოდნა კვლევის შედეგად არ იზრდება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არავითარი კვლევა არ ჩატარებულა. ანუ კვლევის ჩატარების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი არის მოცემული საკითხის შესახებ არსებული ცოდნის ზრდა.

საბოლოოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის განსაზღვრება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

კვლევის პროცესი და მისი ეტაპები: კვლევის პროცესი ხასიათდება რამდენიმე ძირითადი ფუნდამენტური ეტაპით, რომლებიც აუცილებელია ყველა სამეცნიერო ხასიათის კვლევითი პროცესისთვის მიუხედავად იმისა კვლევა იაპონიაში ტარდება, საფრანგეთსა თუ საქართველოში, დიდ თუ მცირე კომპანიაში, ბიზნესისა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისთვის. ეს ეტაპები, ფაქტობრივად, ასახავს კვლევის ჩატარებისა და მისი შედეგების მიღებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევიდან დაწყებული და კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, მოხსენების, თეზისის) დაწერით დასრულებული.

სრულყოფილი კვლევის პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: (1) საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევას; (2) საკვლევი თემის პირველად აღწერა-დახასიათებას, რაც ფაქტობრივად კვლევითი პროექტის შესავალს წარმოადგენს; (3) საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიებასა და მიმოხილვას; (4) კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრას; (5) კვლევის გეგმის შემუშავებასა და მიმართულებების ჩამოყალიბებას; (6) მონაცემების შეგროვებას; (7) მონაცემების დამუშავებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას; (8) მიღებული შედეგების განსჯას; (9) ზოგადი (საბოლოო) დასკვნის გაკეთებას; (10) კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, თეზისის, მოხსენების) დაწერას[7].

კვლევის პროცესის აღნიშნული ეტაპების ლოგიკური თანმიმდევრობა გრაფიკულად წარმოდგენილია **2.3. ნახაზზე.**

როგორც ნახაზიდან ჩანს, კვლევის პროცესის თითოეული ეტაპი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა ეტაპიდან. სინამდვილეში, რეალურ ვითარებაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევა არასდროს მიმდინარეობს აღნიშნული სქემის მიხედვით. მართლაც, თუ რომელიმე ეტაპი ვერ შესრულდა სათანადოდ, მაშინ საჭირო ხდება წინა ეტაპების გადახედვა-კორექტირება ან შეცვლაც კი[8]. წინა ეტაპების კორექტირებით ფაქ-

---

[5] *უნდა შევნიშნოთ,* რომ თუ კვლევის პროცესში არაფერი ახალი არ აღმოჩნდა, ესეც შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ შედეგად, ახალი ცოდნა არ მიგვიღია, მაგრამ დავრწმუნდით იმაში, რომ ძველი, უკვე კარგად ცნობილი დებულება სწორი ყოფილა, ან იმაში, რომ კვლევის არჩეული გეზი არასწორი ყოფილა. ესეც, გარკვეული ტიპის ახალი ცოდნაა.

[6] კვლევის ბუნებისა და განსაზღვრების უფრო დეტალურად ახნისათვის იხილეთ:

⇨ სამეცნიერო კვლევის მეთოდი: https://ka.khanacademy.org/science/biology/intro-to-biology/science-of-biology/a/the-science-of-biology

⇨ ნინო არჩვაძე. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია: იდეიდან შედეგამდე: http://biotech-school.tsu.ge/uploads/media/Archvadze_Lecture-Materials.pdf?t=1469099643885

⇨ Business research Methods. William G. Zikmund et al, 8th Edition, 2011, p. 4-8: https://www. pdfdrive.com/business-research-method-zikmund-el-al-8th-ed-copy-e18721421.html

[7] *უნდა შევნიშნოთ,* რომ მე-15 თავში წარმოდგენილი იქნებაა კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და ალგორითმი, რომელშიც ძირითადი ყურადღება გადავა კვლევის ანგარიშის სტრუქტურაზე, მისი შექმნის ძირითად პრინციპებსა და გაფორმების სტანდარტებზე.

[8] კვლევის პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და კვლევის ეტაპების ხშირი კორექტირების თავიდან ასაცილებლად საჭიროა პირველადი კვლევის ჩატარება და კვლევის პროცესის გულდასმით მომზადება მანამ, სანამ დაიწყება სრული პროექტის შესრულება.



ნახაზი 2.3. კვლევის პროცესის ეტაპების ლოგიკური თანმიმდევრობა

ტობრივად ვლინდება უკუკავშირის აუცილებლობა კვლევის პროცესში, რაც სრულიად ბუნებრივი ვითარებაა. გარდა ამისა, შესაძლოა რამდენიმე ეტაპი პარალელურად მიმდინარეობდეს. სწორედ ამიტომ წარმოდგენილი გრაფიკული მოდელი არის კვლევის პროცესის პირობითი თანმიმდევრობა.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ კვლევის პროცესის თითოეულ ეტაპს[9].

საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევა: კვლევის პროცესი იწყება საკვლევი ობიექტის, საგნის (თემის) განსაზღვრით. საკვლევი ობიექტი წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის მატარებელს, რომელზეც მიმართულია კვლევითი საქმიანობა. კვლევის საგნად გვევლინება უშუალო შესწავლას დაქვემდებარებული ობიექტის თვისება, ქცევა, ფუნქციონირება. საკვლევი ობიექტი და საგანი ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან ზოგადისა და კერძოს ურთიერთდამოკიდებულებაში. მკვლევარმა მეტნაკლები სიზუსტით უნდა იცოდეს რას იკვლევს. საკვლევი თემა ასახავს პრობლემის გარკვეულ ასპექტებს და მოიცავს გადაწყვეტილების მიღების მიმართულებას. ამასთან, საკვლევი თემა შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური ხასიათის, რომელიც, როგორც წესი, უნდა უკავშირდებოდეს მკვლევარის საქმიანობას.

საკვლევი თემის პირველადი აღწერა-დახასიათება: ეს ეტაპი მჭიდროდ უკავშირდება საკვლევი თემისა და შემდგომი კვლევის მიმართულების განსაზღვრას. ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, ფორმირდება კვლევითი პროექტის შესავალი, - განიმარტება, თუ რატომ არის აქტუალური დაგეგმილი კვლევა, რა წინასწარი ინფორმაცია მოიპოვება კვლევის საგნის შესახებ, რა არის კვლევის მოტივაცია, მიზანი და ამოცანები. სამეცნიერო კვლევის მიზანი არის კონკრეტული ობიექტის განსაზღვრა და მისი სტრუქტურის, მახასიათებლების, კავშირების ყოველმხრივი და საიმედო შესწავლა მეცნიერებაში არსებული შემეცნების პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე, ასევე ადამიანის საქმიანობისათვის სასარგებლო შედეგების მიღება და მისი წარმოებაში დანერგვა. კვლევის ამოცანები ფორმულირდება, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ეტაპები და, ფაქტობრივად, წარმოადგენს დასახული მიზნის შინაარსობრივ დეტალიზებას. ამ ეტაპზე ასევე სასარგებლოა ერთგვარი პირველადი კვლევის ჩატარება იმ მიზნით, რომ მკაფიოდ განისაზღვროს კვლევის შემდგომი ნაბიჯები.

საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიება და მიმოხილვა: მას შემდეგ, რაც დადგინდება საკვლევი თემა, მოძიებულ უნდა იქნეს სრულყოფილი ინფორმაცია, როგორც საკვლევი საგნის არსის, ისე მასზე ადრე ჩატარებული კვლევების შესახებ. აქ იგულისხმება ბეჭდვითი თუ ელექტრონული სახის როგორც ფუნდამენტური ნაშრომები, ისე სხვადასხვა პუბლიკაციები. თანამედროვე ელექტრონული საშუალებები, სხვადასხვა საძიებო სისტემები მნიშვნელოვნად აადვილებს ლიტერატურის მოძიებას, მაგრამ აქ წამოიჭრება გარკვეული საფრთხეც, რამდენადაც დიდია ვიკიპედიის გამოყენების ცდუნება[10]. ამიტომ სერიოზული კვლევებისათვის ინტერნეტით სარგებლობისას მკვლევარი სასურველია უმთავრესად დაეყრდნოს კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდებს. ამ მხრივ, უფრო საიმედოა აკადემიური გამომცელობების მიერ მომზადებული წიგნები, ჟურნალები, სტატიები და ანგარიშები. საგულისხმოა, რომ შერჩეული საკითხის ირგვლივ არსებული მოძიებული მასალის შესწავლა, არსებული ცოდნის გაანალიზება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კვლევის ხარისხს და საბოლოო შედეგებს. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად უნდა განისაზღვროს საკუთარი კვლევის მიმართულება, კვლევის ვექტორი, რაც ეხმარება მკვლევარს კონკრეტულ განსახილველ პრობლემაზე საკუთარი იდეების ფოკუსირებაში.

კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრა: კვლევის პროცესში ერთ-ერთი მთავარი სირთულეა საკვლევი თემის დავიწროება, ფოკუსირება კონკრეტულ პრობლემატიკაზე, კვლევის შეკითხვებზე. ამ სირთულის დასაძლევად ლიტერატურის მიმოხილვის დროს უნდა ვიპოვოთ ხარვეზები არსებულ რეალობასა და თეორიულ მასალას (ლიტერატურას) შორის, დავადგინოთ ორიგინალური კვლევის მიმართულება ადრე ჩატარებული აკადემიური კვლევების შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ საკვლევი თემა დაკავშირებულია ბიზნესის წარმოების ფინანსურ მხარესთან, მაშინ შესაძლოა ფოკუსირება მოხდეს: (1) ბიზნესის კონკ-

[9] *უფრო დაწვრილებით იხილეთ:* Sreejesh S, Mohapatra S, Anusree M R, Business Research Methods, An Applied Orientation, Springer, USA, 2013, ISBN 978-3-319-00538-6, p. 13-22: https://www.researchgate. net/publication/258227256_16_Sreejesh_S_Mohapatra_S_Anusree_M_R_Business_Research_Methods_Springer_USA_2013

[10] *უნდა შევნიშნოთ,* რომ ვიკიპედია სასარგებლოა ნებისმიერ საკითხზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ, სერიოზულ კვლევებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეყრდნოთ აქ არსებულ ინფორმაციას, რადგანაც ძალიან მაღალია შეცდომისა და არაზუსტი ინფორმაციის მიღების ალბათობა.

რეტულ მიმართულებაზე, დარგზე (მაგალითად, ვაჭრობა ან უფრო კონკრეტულად - სპორტული აღჭურვილობით ვაჭრობა, ტურიზმი ან უფრო კონკრეტულად - ქობულეთის სასტუმროების საფინანსო კვლევა და სხვ.); (2) მცირე- ან საშუალო საწარმოებზე ქვეყნისა და დარგის მასშტაბით (მაგალითად, ჰიპერ- და სუპერ მარკეტების საფინანსო კვლევა; (3) წარმოების ან სერვისის სახეობებზე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით (მაგალითად, ეკონომიკური აქტიურობა ბათუმში ზაფხულის პერიოდში, თხილის წარმოება სამეგრელოში და სხვ.); (4) დროის პერიოდის მიხედვით (ტურიზმი ბაკურიანში წლის სხვადასხვა პერიოდში - ზაფხულსა და ზამთარში, სარკინიგზო-სამგზავრო გადაყვანები ჩვეულებრივ და სადღესასწაულო დღეებში და სხვ.) და ა.შ.

კვლევის გეგმის შემუშავება და მიმართულებების ჩამოყალიბება: პირველ რიგში, განისაზღვრება კვლევის პარადიგმა[11]. კვლევის პარადიგმა - ეს არის ერთგვარი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ხასიათს, კვლევის მიმდინარეობას. კვლევის პარადიგმა იძლევა პასუხს შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს კვლევა, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება საკვლევი ობიექტის ბუნებით, მკვლევარის ფილოსოფიური ხედვით ანუ მკვლევარის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებებით, ცოდნისადმი მისი მიდგომით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს პასუხების ერთიანობას ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა რა? სად? როდის? როგორ?

მაშასადამე, კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა იქნეს გამოკვლეული, სად, როდის და როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა. მთლიანობაში, აღნიშნულ კითხვებზე პასუხების ერთობლიობა აყალიბებს კვლევის მეთოდოლოგიას - იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონკრეტული კვლევის ჩატარება. ამრიგად, კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიას.

მონაცემების შეგროვება: მონაცემების რაოდენობრივი და თვისებრივი ტიპების შესაბამისად, მათი შეგროვების მრავალი ხერხი არსებობს, ამასთან, მონაცემების შეგროვების გზები განსხვავებულია, ამიტომ, კვლევის დაწყებამდე გასარკვევია საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი მონაცემები უნდა შევაგროვოთ, როგორი მონაცემების შეგროვებაა შესაძლებელი და რომელი მეთოდებით.

ფაქტობრივად, საკვლევი ობიექტის ბუნება, კვლევის მიზანი და ამოცანები, გარკვეულწილად მკვლევარის პარადიგმა განსაზღვრავს მონაცემების ტიპს (როგორი მონაცემების შეგროვება არის შესაძლებელი და/ან საჭირო). შესაბამისად, საჭირო ხდება კვლევის ჩატარება რაოდენობრივი ან თვისებრივი მეთოდოლოგიით[12]. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა საჭირო გახდეს კვლევის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების მონაცვლეობას კვლევის სხვადასხვა ეტაპზე. სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად განიხილება საკვლევ თემასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი კვლევებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა განვასხვავოთ პირველადი და მეორადი მონაცემები. *პირველადი მონაცემები* არის მკვლევარის მიერ მოპოვებული ორიგინალური მონაცემები. *მეორადი მონაცემები* კი ისეთი მონაცემებია, რომლებიც უკვე იყო შეგროვილი და, შესაძლოა, გამოქვეყნებულიც სხვა მკვლევართა მიერ. მეორადი მონაცემების წყაროა მონაცემთა ბაზები, გამოქვეყნებული წიგნები, სტატიები, ანგარიშები, ორგანიზაციის საბუთები და ა.შ.

დაბოლოს, იმის მიუხედავად, მონაცემები პირველადია თუ მეორადი, მკვლევარს შეუძლია

[11] *პარადიგმა* (ბერძნულად παράδειγμα, პარადეიგმა) ნიშნავს მაგალითს, ნიმუშს, სქემას, მოდელს, ამოცანის გადაწყვეტის სქემას. თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიით - ფუნდამენტური სამეცნიერო დებულებების, წარმოდგენების და ტერმინების ერთობლიობა, რომელიც აღიარებულია სამეცნიერო წრეების მიერ. ფილოსოფიაში - აშკარა და არაცხადი (ზოგჯერ - გაუცნობიერებული) წანამძღვრების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს კვლევების ხასიათს. გადაწყვეტილების მიღების უნივერსალური მეთოდი. ლინგვისტიკაში - გრამატიკული წესების ერთობლიობა. კვლევის მეთოდოლოგიის თვალთახედვით, პარადიგმა არის სამეცნიერო მიღწევების ერთობლიობა, რომელსაც აღიარებს მთლიანი სამეცნიერო საზოგადოება და მიღებულია ნიმუშად ახალი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად. ზოგადად, ტერმინი „პარადიგმა" დღეს გამოიყენება სამ დონეზე: ფილოსოფიურ, სოციალურ და ტექნიკურ დონეებზე. *ფილოსოფიურ დონეზე* პარადიგმა განსაზღვრავს ზოგად შეხედულებას სამყაროზე, *სოციალური დონეზე* პარადიგმა განსაზღვრავს კვლევის ჩატარების პრინციპებს, მიდგომებს (მაგალითად, კვლევებისადმი სუბიექტური ან ობიექტური მიდგომა), ხოლო *ტექნიკურ დონეზე* პარადიგმა მიუთითებს იმ სპეციფიკურ მეთოდებზე, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ კვლევების ჩასატარებლად (მაგალითად, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები, რაოდენობრივი ან თვისებრივი მეთოდები და ა.შ.).

[12] რაოდენობრივი მეთოდოლოგია მოითხოვს რაოდენობრივი ცვლადების გაზომვას, დაკვირვებას, ექსპერიმენტების ჩატარებას და ა.შ. თვისებრივი მეთოდოლოგიის შემთხვევაში მონაცემების შეგროვება ხორციელდება ინტერვიუს მეშვეობით, სხვადასხვა ტექსტების სპეციფიკური ანალიზით.

და იგი ვალდებულია კიდეც ჩაატაროს ორიგინალური კვლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება პლაგიატთან - სხვისი კვლევების შედეგების მითვისებასთან. მეორადი მონაცემების გამოყენებისას მკვლევარმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო და ახლებურად უნდა მოახერხოს ამ მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, რითაც გამოირიცხება პლაგიატი და კვლევაც ორიგინალური იქნება.

მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია: კვლევითი პროექტის მთავარი ნაწილია მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია. მონაცემთა ანალიზის მეთოდები დამოკიდებულია კვლევის პარადიგმასა და მონაცემების ტიპზე. როგორც წესი, მონაცემების შეგროვება და ანალიზი განცალკევებული ეტაპებია, მაგრამ, ზოგჯერ ეს პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს, ამიტომ, საზოგადოდ, მონაცემების შეგროვების დაწყებამდე უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოხდება მათი დამუშავება. რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით ხორციელდება, თვისებრივი მონაცემებისა კი - სხვადასხვა მეთოდებით.

მიღებული შედეგების განსჯა: მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე ჩატარდება შედეგების განსჯა, წამოყენებული ჰიპოთეზების (თუ არსებობს) შემოწმება, მათი მიღება ან უარყოფა.

ზოგადი (საბოლოო) დასკვნის გაკეთება: მიღებული შედეგების განსჯის შემდეგ კეთდება ზოგადი (საბოლოო) დასკვნა, რომელშიც უნდა შეჯამდეს კვლევის თითოეული საკითხი დასახული ამოცანების შესაბამისად, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს მკვლევარის წვლილი საკვლევი საკითხის შესწავლაში, აისახოს მოსაზრებები კვლევის შემდგომ მიმართულებაზე, აგრეთვე კვლევის შედეგების თეორიული და/ან პრაქტიკული ღირებულება[13].

კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, თეზისის, მოხსენების) დაწერა: კვლევითი პროექტის დამამთავრებელი ეტაპია შედეგების გაფორმება, კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, თეზისის, მოხსენების) დაწერა. როგორც გამოცდილება აჩვენებს, კვლევითი პროექტის შესრულების პროცესში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის გარემოება, რომ მკვლევარები (განსაკუთრებით სტუდენტები) შედეგების გაფორმებას იწყებენ ძალიან გვიან, თითქმის პროექტის დასრულების ბოლო ვადის (დედლაინის) უკანასკნელ დღეებში, რის გამოც დასრულებული პროექტი ხშირად უხარისხოა ხოლმე. ამიტომ კარგი კვლევითი პროექტის მისაღებად აუცილებელია მკვლევარმა რაც შეიძლება ადრე, კვლევის პროცესის პირველი ეტაპებიდანვე დაიწყოს კვლევის ანგარიშის სამუშაო ვერსიის მომზადება, რაც თანდათანობით უნდა გაგრძელდეს პროექტის შესრულების კვალობაზე. ძალიან სასარგებლო იქნება, თუ მკვლევარი თავიდანვე ჩამოაყალიბებს პროექტის სტრუქტურას, რაც მას კვლევის კალენდარული გეგმის (გრაფიკის) შედგენაში დაეხმარება.

კვლევის მომხმარებლები და მიზნები: უწინარეს ყოვლისა, იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს სამეცნიერო კვლევის შედეგების მომხმარებელი. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ კვლევა და მისი შედეგები, პირველ რიგში, ესაჭიროება ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას, რათა სწორად იქნეს შემუშავებული ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, მიღებულ იქნეს ეფექტიანი გადაწყვეტილებები ქვეყნისთვის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე. ამასთან, კვლევები ესაჭიროება ყველა ორგანიზაციას, იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საჭირო საქმიანობით არის დაკავებული. სხვადასხვა ტიპის კვლევები აუცილებელია ბიზნესის მესაკუთრეების, მენეჯერების, მრჩეველებისა და კონსულტანტებისთვის ბიზნესის განვითარებაზე ახალი და მომგებიანი იდეების ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის მიზნით. დაბოლოს, კვლევები ესაჭიროება სამეცნიერო-საგანმანათლებლო სექტორს შემდგომი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, თუ სხვა პრაქტიკული მიზნებისთვის.

სამეცნიერო კვლევის მიზნები შესაძლოა მოიცავდეს პრობლემათა ძალიან ფართო სპექტრს, დაწყებული მცირე- და საშუალო ბიზნეს-საწარმოებიდან და დამთავრებული საჯარო/არასამთავრობო ორგანიზაციებით და სახელმწიფო მართვის ორგანოებით. თემატურად, ეს შეიძლება იყოს არსებული ცოდნის მიმოხილვა, ანალიზი/სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; კვლევის ახალი სისტემის ან პროცედურის შექმნა; ახალი მოვლენების ახსნა და გადაწყვეტილების ჩამოყალიბება საკვლევი საკითხების ირგვლივ.

კვლევის მიზნებს, ზოგადად, განსაზღვრავს ამა თუ იმ საკითხის გამოკვლევის საჭიროება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კვლევის ჩატარებას აკადემიური მიზნები აქვს (სტუდენტების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება კვლევე-

[13] უნდა შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი კვლევის შეფასება ხორციელდება როგორც თეორიული ღირებულების (კვლევის სიახლე, აქტუალობა, ორიგინალურობა), ისე პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ცხრილი 2.1. კვლევის ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია

№	საკლასიფიკაციო ნიშანი	კვლევის ტიპები
1	კვლევის დონე	თეორიული კვლევა ემპირიული კვლევა
2	კვლევის მიზნობრივი დანიშნულება	პირველადი კვლევა აღწერითი კვლევა ანალიტიკური კვლევა საპროგნოზო კვლევა
3	კვლევის პროცესის შინაარსი	თვისებრივი კვლევა რაოდენობრივი კვლევა
4	კვლევის შედეგების წარდგენის ფორმა	ფუნდამენტური კვლევა გამოყენებითი კვლევა
5	კვლევის ჩატარების ხანგრძლივობა	გრძელვადიანი კვლევა მოკლევადიანი კვლევა ექსპრეს კვლევა
6	მეცნიერებაში შეტანილი წვლილი	გარღვევითი კვლევა განვითარებითი კვლევა
7	კვლევის ლოგიკა	დედუქციური კვლევა ინდუქციური კვლევა

ბის ჩატარების მიმართულებით), მაშინ კვლევის ჩატარების მიზნებიც სპეციფიკური, საგანმანათლებლო ხასიათისაა. ამრიგად, აკადემიური კვლევის ტიპიური მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს იმის მიხედვით, თუ სწავლების რომელ საფეხურზე იმყოფება სტუდენტი. ამ თვალსაზრისით, უნდა განვასხვავოთ კვლევების ჩატარების დაწყებითი, საშუალო და მაღალი დონეები, რაც შესაძლოა მიესადაგოს, სწავლების (უმაღლესი განათლების) სხვადასხვა - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს. მიზნების ასეთი დახარისხებით თვით სტუდენტებს შეეძლებათ შემოწმება იმისა, თუ რამდენად სასარგებლო იყო მათთვის მათ მიერ ჩატარებული კვლევა და შესრულებული კვლევითი პროექტი. კერძოდ:

საწყისი (საბაკალავრო) დონისათვის კვლევის ტიპიური მიზნები უნდა იყოს: (1) კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება; (2) პრობლემათა გადაწყვეტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რის შედეგადაც სტუდენტი შეძლებს სიტუაციის შეფასებასა და სინთეზირებას, პრაქტიკული სიტუაციების მოდელირებას; (3) აქტიური სწავლების უზრუნველყოფა - სწავლა გამოცდილებით, რომლის დროსაც სტუდენტი შეძლებს შესასწავლი პრობლემის ამოცნობასა და განსაზღვრას; (4) დამოუკიდებელი სწავლების უნარჩვევების განვითარება; (5) პრობლემის ოპერაციონალიზების (პრობლემის ისეთნაირად აღწერა, რაც მისი დამახასიათებელი ცვლადების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა) უნარის განვითარება; (6) აკადემიური ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება. საბოლოოდ, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისგან მოითხოვება დემონსტრირების მოხდენა იმისა, რომ: ჯერ-ერთი, მათ ესმით კვლევის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არჩეულ დარგში, და მეორე, შეუძლიათ გამოიკვლიონ შერჩეული საკითხი (ძირითადად გამოყენებითი ხასიათის), უპირატესად, პირველადი კვლევისა და/ან აღწერითი კვლევის მეთოდებით.

შუალედურ (სამაგისტრო) საფეხურზე სტუდენტმა უნდა შეძლოს: (1) ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება; (2) არსებული ჰიპოთეზების შემოწმება (ტესტირება); (3) კვლევის მეთოდების გაგება და გაცნობიერება (მეორე საფეხურზე შესაძლოა ისევ გამოყენებითი კვლევები ჩატარდეს, მაგრამ კვლევა უკვე უნდა იყოს ანალიტიკური და საპროგნოზო); (4) კარგად სტრუქტურირებული და დამაჯერებელი კვლევის ანგარიშის მომზადება; (5) დასკვნების, გადაწყვეტილებათა მიღების, განხილული პრობლემის მოგვარების მიზნით რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც უნდა ეყრდნობოდეს მოპოვებულ (მათ შორის - ექსპერიმენტით, დაკვირვე-

ბით და სხვ.) ინფორმაციას; (6) საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის სრულყოფილი ანალიზიმიმოხილვა და კრიტკული გამოყენება, მტკიცებულებების ჩამოყალიბება ლიტერატურის კომპეტენტური გამოყენებით; (7) მიღებული შედეგების დემონსტრირება - დასაბუთება; (8) კვლევითი ანგარიშის ძირითადი დებულებების სპეციალურ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად მომზადება.

უმაღლეს (სადოქტორო) საფეხურზე სტუდენტმა დამატებით უნდა შეძლოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა არჩეული საკვლევი საკითხის შესახებ არსებულ თეორიულ ცოდნასა და შედეგების პრაქტიკულად გამოყენების რეკომენდაციებში.

კვლევების კლასიფიკაციის პრინციპები

კვლევის ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია: სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაციის პრინციპები ეფუძნება კვლევების ტიპოლოგიაში გამოყენებულ კრიტერიუმებს. სამეცნიერო კვლევების ძირითადი ტიპების გამოყოფა შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.

წინამდებარე სასწავლო-პრაქტიკულ სახელმძღვანელოში კვლევების კლასიფიკაცია ხორციელდება იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც საერთოა ყველა ტიპის კვლევისათვის, კერძოდ: კვლევის დონის, კვლევის მიზნობრივი დანიშნულების, კვლევის პროცესის შინაარსის, კვლევის შედეგების წარდგენის ფორმის, კვლევის ჩატარების ხანგრძლივობის, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და კვლევის ლოგიკის მიხედვით **(2.1. ცხრილი).**

თეორიული და ემპირიული კვლევები: შემეცნების პროცესში გამოყოფენ სამეცნიერო კვლევის ორ დონეს: თეორიულს და ემპირიულს. თეორიული კვლევა ორიენტირებულია ობიექტური რეალობის ყოველმხრივ შესწავლასა და შეცნობაზე, მოცემული საგნის მიმართ კავშირებისა და განზოგადებების გამოვლენის მიზნით, რომელიც წარმოადგენს თეორიის განვითარების საფუძველს. ემპირიული კვლევა მიმართულია ობიექტზე, პროცესების და მოვლენების კონკრეტულ შესწავლაზე, მეცნიერების ფაქტებისა და მათი განზოგადების მიზნით.

პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევები: პირველადი კვლევა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული საკითხის შესახებ ან არაფერია ცნობილი ან არსებობს ძალიან მწირი ცნობები. ასეთი კვლევის მიზანია საკვლევი საკითხის შესაფერისი შაბლონის, ანალოგიის მოძიება ან გარკვეული ჰიპოთეზის ჩამოყალიბება საკვლევი საკითხის შესახებ. პირველადი კვლევის მიზანი არ არის რომელიმე ჰიპოთეზის შემოწმება ან ტესტირება.[14] პირველადი კვლევის დროს ხდება საკითხის არსის გარკვევა შემდგომი, უფრო დაწვრილებითი კვლევის მიზნით. კვლევის ტიპიური ხერხებია - "ქეისების" შესწავლა, დაკვირვება, ისტორიული ანალიზი როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევაში გამოიყენება მრავალი სხვადასხვა მონაცემი და შთაბეჭდილება. ამ დროს დასკვნები იშვიათად კეთდება, თუმცა გაიცემა რეკომენდაციები შემდგომი კვლევების ჩატარების თაობაზე.

> ♦ მაგალითად, მოტივაციის მიზეზების დადგენა X ორგანიზაციაში - X ორგანიზაციის (ბიზნეს-კომპანიის, არასამთავრობო ორგანიზაციის) პერსონალის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გამოკვლევა - გამოკითხვა (მაგალითად, ინტერვიუს გამოყენებით) იმის გასარკვევად, თუ რა არის მათი მოტივაცია შრომის მწარმოებლურობის გასაზრდელად.

აღწერითი კვლევა ტარდება საკითხის თუ მოვლენის არსებული სახით აღწერის მიზნით. ამ დროს ხორციელდება კონკრეტული პრობლემის მახასიათებლების განსაზღვრა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება[15]. აღწერითი კვლევა პირველადი კვლევის შემდგომი ნაბიჯია. მაგალითად: როგორია გაცდენების მაჩვენებელი კომპანიაში? როგორია პერსონალის განწყობა მათი სამსახურიდან დათხოვის შემთხვევაში? როგორია დასაქმებულთა სხვადასხვა ჯგუფების კვალიფიკაცია? შოკოლადის როგორ შეფუთვას ამჯობინებენ მომხმარებლები? რა ინფორმაციის მიღება სურთ მომხმარებლებს სურსათის მარკირებიდან? მანქანების როგორ სატელევიზიო რეკლამას ამჯობინებენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მამაკაცები და ქალები?

[14] *უფრო ვრცლად იხილეთ:* Exploratory research: Definition Methods, Types and Examples: https:// www.questionpro.com/blog/exploratory-research/

[15] *უფრო ვრცლად იხილეთ:* Descriptive Research: Definition, Characteristics, Methods, Examples ...: https://www.questionpro.com/blog/descriptive-research/

X ორგანიზაციაში პერსონალის მოტივაციის პირველადი კვლევის გაგრძელება ამ შემთხვევაში იქნება X ორგანიზაციის შინაგანაწესის ან/და შრომის ანაზღაურების სისტემის აღწერა - შერჩეული პერსონალის დაჯილდოვებისა და წახალისების, აგრეთვე მათი შრომის მწარმოებლურობის შეფასებისა და აღრიცხვის სისტემის აღწერა.

ანალიტიკური კვლევა აღწერითი კვლევის გაგრძელებაა, რომლის დროსაც ხორციელდება მოვლენის გაანალიზება და იმის ახსნა, თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა. ანალიტიკური კვლევის მიზანია გაიგოს და გააცნობიროს მოვლენა მის მახასიათებლებს შორის არსებული კავშირურთიერთობების აღმოჩენით და გაზომვით[16]. მაგალითად, შესაძლოა შეგროვილ იქნას ინფორმაცია კომპანიის სიდიდისა და მუშახელის დენადობის შესახებ. მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა შესაძლოა აჩვენოს, რომ რაც უფრო დიდია კომპანიაში საშუალო ხელფასი, მით უფრო ნაკლებია კადრების დენადობა და ა.შ. თუმცა, ანალიტიკური კვლევები ასე მარტივი არ არის. ამგვარ კვლევებში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებისა და ცვლადების[17] განსაზღვრა და კონტროლი, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი წარმატებული კვლევის ჩატარება.

ზემოხსენებული X ორგანიზაციის კვლევის შემთხვევაში ანალიტიკური კვლევა იქნება ორგანიზაციის საქმიანობის (მიღწევების/წარუმატებლობების) ანალიზი, მაგალითად, შესაძლო კავშირის ანალიზი პერსონალის წახალისებისა (მოტივაციისა) და მათ შრომის მწარმოებლურობას შორის ან შესაძლო კავშირი სამუშაოს გაცდენებისა და/ან დაგვიანებებისა და კომპანიის საფინანსო მაჩვენებლებს შორის[18].

საპროგნოზო კვლევა ანალიტიკური კვლევის შემდგომი ნაბიჯია. მისი მიზანია იწინასწარმეტყველოს მოვლენათა შემდგომი განვითარება მათი ურთიერთკავშირის ანალიზისა და ჰიპოთეზების შემოწმების საფუძველზე. თუ რაიმე მოვლენის პროგნოზირება მოხერხდა ერთი რომელიმე კომპანიის შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასევე გაგრძელდება ეს მოვლენები სხვა, მსგავს კომპანიებში. ასეთი კვლევის დროს ისმის კითხვები: "როგორ", "რატომ", "სად", "რა მოხდება, თუ". მაგალითად: რომელ ქალაქში სჯობს ახალი მაღაზიის გახსნა, სად იქნება უფრო მომგებიანი? კომპანიის თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით ბონუს სისტემის შემოღება გამოიწვევს შრომის მწარმოებლურობის ზრდას? როგორ სახის შეფუთვა გაზრდის გაყიდვების მაჩვენებლებს? რამდენად გაზრდის კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება (შემცირება/გაზრდა) მოგებას? რომელი აქციების ფასი გაიზრდება მომდევნო რამდენიმე (2, 3, 4,..) თვეში/წელიწადში? როგორ შეიცვლება კომპანიის პროდუქტის გაყიდვები ეკონომიკური რეცესიის პირობებში? რომელი ქალაქები იქნება 2020 წელს მსხვილი ბიზნეს ცენტრები? რამდენი მომხმარებელი ეყოლება ტელევიზიას (ინტერნეტს) 2030 წელს? რა სახის დასვენება იქნება პოპულარული 2030 წელს მოწინავე ქვეყნებში? რამდენი ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხდება სარკინიგზო ტრანსპორტით ტრასეკას გავლით 5 წლის განმავლობაში? და სხვ[19].

ზემოხსენებული X ორგანიზაციის კვლევის შემთხვევაში საპროგნოზო კვლევა იქნება, მაგალითად, იმის პროგნოზირება, თუ რომელი ცვლადი (ცვლადები) უნდა შეიცვალოს რათა გაიზარდოს პერსონალის შრომის მწარმოებლურობა. შრომის მწარმოებლურობის ზრდის წყარო შეიძლება იყოს მოტივაციის ფაქტორების გაძლიერება, მენეჯმენტის სწორი მეთოდების გამოყენება, ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და ა.შ. მაგრამ, ამის დადგენას ესაჭიროება სპეციალური გამოკვლევა.

[16] *უფრო ვრცლად იხილეთ:* Analytical Research: https://www.analyticalresearch.com/

[17] *ცვლადი* არის რაიმე მოვლენის ისეთი მახასიათებელი, რომლის დაკვირვება და გაზომვა არის შესაძლებელი.

[18] წინამდებარე ნაშრომის ავტორთა მიერ სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მტკიცე კავშირი არსებობს სტუდენტების ლექცია-სემინარებზე დასწრებასა და მათი აკადემიური შედეგების საბოლოო მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, იმ სტუდენტებს, რომლებიც ლექცია-სემინარებს არ აცდენენ მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ, ხოლო ლექცია-სემინარების გამცდენ სტუდენტებს - დაბალი. ეს, თითქოსდა ტრივიალური შედეგი, საგულისხმო სიგნალი უნდა იყოს იმ საკითხის გასარკვევად, რამდენად მართებულია სტუდენტის მუშაობა ლექცია-სემინარების გაცდენის ხარჯზე.

[19] *უფრო ვრცლად იხილეთ: Research Tools: Forecast - NOAA National Severe Storms Laboratory: https://www.nssl.noaa.gov/tools/forecast/*

კვლევის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა კვლევები შეიძლება წარმოვადგინოთ ერთგვარი საფეხუროვანი 2.4. ნახაზის სახით, რომელიც აჩვენებს კვლევის თანმიმდევრულად გართულებულ ხასიათს.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები: თვისებრივი კვლევის დროს კვლევის პროცესი იმგვარად წარიმართება და საკვლევი საკითხი იმგვარად დაისმის, რომ შეგროვილ იქნეს თვისებრივი მონაცემები (ისეთი მონაცემები, რომელთა რაოდენობრივი დათვლა და/ან გაზომვა შეუძლებელია - სხვადასხვა ტექსტები, შთაბეჭდილებები, მოსაზრებები გამოკითხვებისა ან ინტერვიუს მეშვეობით და ა.შ.). თვისებრივი ინფორმაციის მოპოვება და შემდეგ მათი ანალიზი ხორციელდება ე.წ. ინტერპრეტივისტული მეთოდებით.

რაოდენობრივი კვლევის დროს კვლევის პროცესი იმგვარად წარიმართება და საკვლევი საკითხი ისე დაისმის, რომ შეგროვილ იქნას რაოდენობრივი მონაცემები (ან ისეთი თვისებრივი მონაცემები, რომ შესაძლებელი იყოს მათი თვლადი სახით გადატანა). ასეთი მონაცემების დამუშავება ხორციელდება სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

საგულისხმოა, რომ მრავალი კვლევა აერთიანებს ორივე ტიპის მონაცემებს, ძირითადად ბიზნესის და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში.

ზოგიერთ მკვლევარი, ვინც კარგად არ ფლობს სტატისტიკურ მეთოდებს, ამჯობინებს თვისებრივი კვლევის ჩატარებას. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თვისებრივი კვლევა უფრო იოლია. მართლაც, თვისებრივი ინფორმაციის შეგროვება თავიდან ადვილია, მაგრამ გაცილებით რთულია ასეთი ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება. მეორე მხრივ, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, სხვადასხვა ორგანიზაციულ ღონისძიებებთან, გაზომვებთან, მაგრამ შემდეგ იოლია მათი დამუშავება მძლავრი მათემატიკურ-სტატისტიკური აპარატითა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. თუმცა, მონაცემების ინტერპრეტაცია ისევ მკვლევარის კრეატიულობაზეა დამოკიდებული. მკვლევარის არჩევანს, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს საკვლევი ობიექტის ბუნება, მოსაპოვებელი ინფორმაციის ხასიათი, მკვლევარის მსოფლმხედველობა, მისი ხედვა და სხვ.

ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლე-



ნახაზი 2.4. კვლევის თანმიმდევრული საფეხურები – პირველადი კვლევიდან პროგნოზირებისაკენ

ვები: მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვა და განვითარება ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე თანამედროვე ბიზნესისათვის და, მთლიანად, ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშანია. მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ასრულებს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები.

"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს 1997 წლის 30 აპრილის 672 კანონის თანახმად: "სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას". ამასთან, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი "უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ ნაწილთა, განვითარებას და სამეცნიერო კვლევა შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად მიაჩნია". კანონში მოცემულია ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ცნებები: "მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქმიანობა მოიცავს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებსა და დამუშავებას, მათი შედეგების გამოყენებას, არსებულ ტექნოლოგიათა და ტექნიკის სრულყოფას წარმოების დონის ამაღლების და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით".

ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა არის ისეთი კვლევა, როდესაც ძირითადად ხორციელდება ზოგადი კანონზომიერებების შესახებ არსებული თეორიული ცოდნის, გაღრმავება-გაფართოება, განზოგადება. ამ შემთხვევაში სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვინაიდან საკვლევი საკითხი ნაკლებად სპეციფიკური და უფრო მეტად ზოგადი ბუნებისაა, ხოლო მიღებული დასკვნები არ არის გათვალისწინებული იმისათვის, რათა ისინი სასწრაფოდ იქნეს გამოყენებული. ფუნდამენტური კვლევები ორიენტირებულია გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების შეცნობაზე, რეალური სინამდვილის ობიექტებსა და მოვლენებს შორის ახალი კავშირებისა და ურთიერთობების გამოვლენაზე, ახალი ფუნდამენტური კანონებისა და პრინციპების აღმოჩენაზე, მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის შექმნაზე. ასეთი ტიპის კვლევები დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან და განუსაზღვრელობასთან კონკრეტული დადებითი შედეგის მიღების თვალსაზრისით, რომლის ალბათობა 10%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, სწორედ ფუნდამენტური კვლევები წარმოადგენს როგორც თვით მეცნიერების, ისე საზოგადოებრივი წარმოების განვითარების საფუძველს. ასეთი ხასიათისაა აკადემიური კვლევების უმეტესობა.

გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა არის ისეთი კვლევა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება რომელიმე კონკრეტული, სპეციფიკური, არსებული პრობლემების შესწავლა. გამოყენებითი კვლევები ორიენტირებულია საზოგადოების ახალი პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ახალი ცოდნის მიღებაზე. პრაქტიკული გამოკვლევების შედეგები გამოიყენება არსებული ტექნოლოგიების, მასალების, მანქანების სრულყოფისას ან ახალი კანონზომიერებების და პრინციპების გამოვლენისას, ახალი წესების და საშუალებების, ახალი მეთოდოლოგიებისა და მოდელების შემუშავებისას. გამოყენებითი კვლევები, უპირატესად, ტარდება ბიზნეს-კომპანიისა თუ სხვა ტიპის ორგანიზაციის მართვის გაუმჯობესების, მათი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ფაქტობრივად, გამოყენებითი კვლევის შედეგად უნდა მოხდეს მენეჯმენტის, მარკეტინგის, თუ სხვა სფეროში არსებული ცოდნის უკეთ გამოყენების გზების მოძიება საკვლევი ობიექტის მართვის, მენეჯმენტის პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით. ასეთი კვლევა, როგორც წესი, მოკლევადიანია. ამ დროს ფოკუსირება ხდება არსებული საკითხის შესახებ ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაზე და არა საკითხის აკადემიურ განზოგადოებასა თუ თეორიების შემუშავებაზე. თუმცა, გამოყენებითი კვლევით მიღებული შედეგები შემდგომში შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც ერთ-ერთი "ქეისი" ახალი თეორიული დებულების შესამუშავებლად.

მაგალითად, გამოყენებითი კვლევა შეიძლება ჩატარდეს X კომპანიის სათავო ოფისის რეორგანიზაციის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, ფინანსური დანახარჯების შემცირება, ნედლეულისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური მასალების ოპტიმიზაცია, ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ამაღლება და სხვ. კვლევის შედეგად მივიღებთ საკონსულტაციო მოხსენება-პრეზენტაციას შემკვეთისთვის, რასაც უნდა მოყვეს კომპანიის რეორგანიზაცია-გარდაქმნა. გარდა ამისა, შეიძლება გამოქვეყნდეს სტატია პროფესიულ ჟურნალში, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები.

ისეთ სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც მიმართულია კვლევის პერსპექტიულობის განსაზღვრასა და სამეცნიერო ამოცანების გადაჭრის გზების ძიებაზე, უწოდებენ საძიებოს. ფუნდამენტური ან გამოყენებითი კვლევის დასრულებული ნაწილი, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საცდელი ნიმუშების ან პილოტური პროექტების შექმნას, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება გადაწყვეტილება კვლევის ობიექტის ან პროცესის შემდგომი განვითარების თაობაზე, წარმოადგენს სამეცნიერო დამუშავებას.

კვლევის ჩატარების ხანგრძლივობის კრიტერიუმის გამოყენებისას სამეცნიერო კვლევები იყოფა **გრძელვადიან, მოკლევადიან და ექსპრეს კვლევებად**. გრძელვადიანი კვლევები დამახასიათებელია ფუნდამენტური კვლევითი პროგრამებისათვის. გამოყენებითი კვლევები, როგორც წესი, მოკლევადიანია (1 წლამდე ვადით). ნიმუშად შესაძლებელია მოგვევლინოს ორგანიზაციის გარე სამყაროს კვლევა, რეგიონის ან დარგის ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა, ბიზნესსა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კვლევა. ექსპრეს-კვლევები ტარდება ძირითადად გაცნობითი მიზნით და ხორციელდება უმოკლეს ვადებში, გამარტივებული სქემით, შეზღუდული დროითი რესურსის გათვალისწინებით.

სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **გარღვევით და განვითარებით კვლევებს**. გარღვევითი კვლევები თავდაპირველად ან შემუშავების პროცესში ორიენტირებულია გარემოსა და საზოგადოებაზე ფუნდამენტური წარმოდგენების შემცვლელი, პრინციპულად ახალი ცოდნის მიღებაზე. ამის მაგალითად შესაძლებელია დავასახელოთ კვლევები ნანოტექნოლოგიების, ფარმაკოლოგიისა და ბიოლოგიის სფეროებში. განვითარებითი კვლევები ორიენტირებულია გარღვევითი კვლევების გაღრმავებაზე, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში კვლევის შედეგების შემდგომი დანერგვის მიზნით.

კვლევის ლოგიკის მიხედვით არსებობს **დედუქციური და ინდუქციური კვლევები**. დედუქციური კვლევა არის ისეთი კვლევა, როდესაც ხორციელდება ზოგადი თეორიული დებულებების და კონცეფციების განვითარება, დამუშავება და შემოწმება (ტესტირება) ემპირიული დაკვირვებების მეშვეობით. უხეშად თუ ვიტყვით, ეს არის "მოძრაობა ზოგადიდან კონკრეტულისკენ". ამრიგად, კონკრეტული პრაქტიკული შედეგები გამომდინარეობს ზოგადი დასკვნებიდან.

მაგალითად, X კომპანიის ახლად დანიშნულმა ტოპ-მენეჯერმა, რომელსაც მიღებული აქვს საუკეთესო საუნივერსიტეტო განათლება (ვთქვათ, სორბონაში), მოინდომა ახალი მიდგომების გამოყენება პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით. მას ნასწავლი აქვს მოტივაციის ზოგადი თეორია და აქვს ამ თეორიის პრაქტიკული გამოყენების გარკვეული გამოცდილება საფრანგეთში მუშაობის დროს. სრულიად ბუნებრივია, რომ მას სურდეს ამ თეორიის ქართულ კომპანიაში გამოყენება. მაგრამ, სანამ თეორიული დებულებების რეალიზაციას დაიწყებდეს, მან

ცხრილი 2.2. კვლევისადმი მიდგომების კლასიფიკაცია

№	საკლასიფიკაციო ნიშანი	სამეცნიერო კვლევის სახეები
1	პრობლემის ფორმალიზების ხარისხი	„მკაცრი“ მიდგომა „რბილი“ მიდგომა
2	კვლევის სიღრმე	კლინიკური მიდგომა კვლევითი მიდგომა საპროექტო მიდგომა
3	კვლევის ობიექტის მახასიათებლი თვისებების აღრიცხვის შესაძლებლობა	ანალოგური მიდგომა რედუქციული მიდგომა კომპლექსური მიდგომა სისტემური მიდგომა სიტუაციური მიდგომა დიალექტიკური მიდგომა ისტორიული მიდგომა და სხვ.

უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად ასახავს ეს თეორია მოცემულ რეალობას. ამ მიზნით საჭირო იქნება დედუქციური კვლევის ჩატარება - კონკრეტული მონაცემების შეგროვება, ანალიზი, დამუშავება, რომელიც დაადასტურებს (ან უარყოფს) განხილული თეორიას მოცემულ სპეციფიკურ შემთხვევაში. დადებითი პასუხის შემთხვევაში მას შეუძლია სორბონაში ნასწავლი მოტივაციის ზოგადი თეორიის შედეგების გამოყენება მისთვის ახალ ქართულ კომპანიაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი მოსაფიქრებელი იქნება მოტივაციის სხვა ფორმები.

ინდუქციური კვლევა არის ისეთი კვლევა, როდესაც ხორციელდება ზოგადი კანონზომიერების ჩამოყალიბება ინდივიდუალური, ემპირიული დაკვირვევებიდან, თეორიის განვითარება ემყარება რეალობის შესახებ არსებული ემპირიული ინფორმაციის დამუშავების შედეგებს. უხეშად თუ ვიტყვით, ეს არის "მოძრაობა კონკრეტულიდან ზოგადისკენ". ამრიგად, ზოგადი დასკვნები გამომდინარეობს კონკრეტული პრაქტიკული შედეგებიდან.

> მაგალითად, X კომპანიაში არსებული ჩანაწერების მიხედვით ჩანს, რომ შრომის მწარმოებლურობა კლებულობს რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მწარმოებლურობა დამოკიდებულია სამუშაო დროზე. მაგრამ, ეს იქნება დასკვნა მოცემული ქარხნისთვის. თუ ასეთივე შედეგებს მივიღებთ სხვა მსგავსი საწარმოებითვისაც, მაშინ შესაძლოა გაკეთდეს ზოგადი დასკვნა, რომ მწარმოებლურობა, მართლაც, დამოკიდებულია სამუშაო დროზე.

ცხადია, რომ 2.1. ცხრილში მოტანილი საკლასიფიკაციო ნიშნების ჩამონათვალი შესაძლებელია გაფართოვდეს მასში ისეთი ნიშნების ჩართვით, როგორიცაა: კვლევის ინიცირების წესი (ინიციატივური ანუ სპონტანური, სისტემატიზებული და შეკვეთილი კვლევები), კვლევაში გამოყენებული საშუალებები (გონებრივი და ექსპერიმენტული კვლევები), მონაწილეთა რაოდენობა (ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევები), კვლევის დაფინანსების წყარო (საბიუჯეტო, სახელშეკრულებო და დაუფინანსებელი კვლევები), კვლევის პროცესისა და მისი შედეგების ასახვის ფორმა (მონოგრაფიული, თემატური და კრებსითი კვლევები) და ა.შ.

> 2.1. ცხრილში წარმოდგენილი კლასიფიკაციის შესაბამისად, სამაგისტრო სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევას, რომელიც მიეკუთვნება ინდივიდუალური, გამოყენებითი ან საძიებო, დაუფინანსებელი, მოკლევადიანი, განვითარებითი და ინიციატივური კვლევის სახეებს.

როგორც უკვე ვიცით, სამეცნიერო კვლევის ამოსავალ მომენტს წარმოადგენს პრობლემის გამოვლენა. ზოგადად, ტერმინში "პრობლემა" იგულისხმება წინააღმდეგობა პოზიციაში, რომელიც ხასიათდება შეუსაბამობით ახალ ფაქტებსა და ძველი წესებით მის ახსნას შორის[20]. სწორედ არსებული განსხვავების აღმოფხვრის სურვილი გვევლინება კვლევის დაწყების მასტიმულირებელ მოტივად, იმპულსად.

სამეცნიერო კვლევებში პრობლემის გადაჭრა ითვალისწინებს ახალი ცოდნის მიღებას თეორიის განვითარებისა და პრაქტიკის სრულყოფისათვის. მაგრამ, ამ შემთხვევაში მკვლევარის წინაშე დგება ამოცანა განსაზღვროს, თუ რა გზით უნდა წავიდეს პრობლემის დასაძლევად, ანუ აირჩიოს მიდგომა, რომელიც საშუალებას მისცემს მას სრულად ან ნაწილობრივ განახორციელოს პრობლემის დაძლევა.

პრობლემის გამოვლენისას მკვლევარი უკვე აყალიბებს ზოგიერთ საწყის ცოდნას კვლევის ობიექტის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს მას ჩამოაყალიბოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები. თეორიიდან ან პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთმა სამეცნიერო ვარაუდმა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული ან უარყოფილი და საჭიროებს მეცნიერულ დასაბუთებას (უარყოფას), მიიღო ჰიპოთეზის სახელწოდება. ჰიპოთეზა დოგმა არ არის და კვლევის პროცესში შეიძლება დაზუსტდეს, შეივსოს, შეიცვალოს.

ჰიპოთეზის საწყის ვერსიას უწოდებენ სამუშაო ჰიპოთეზას. სამეცნიერო ჰიპოთეზად ამ უკანასკნელის ტრანსფორმირებისათვის აუცილებელია სამეცნიერო ჰიპოთეზა:

- ♦ იყოს შემოწმებადი,ანუ ლოგიკური გზით დედუქციის საფუძველზე ფორმულირებული შედეგები უნდა ექვემდებარებოდეს შემოწმებას და შეესაბამებოდეს ფაქტებს, ცდების შედეგებს, დაკვირვებას და ა.შ.
- ♦ შეესაბამებოდეს საკმაოდ ზოგად და პრო-

[20] Мишин В.М. Исследование систем управления: Учебник для вузов. — 2-изд., стереотип. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2005. - 527 с.: https://docplayer.ru/44787898-Mishin-v-m-issledovanie-sistem-upravleniya-uchebnik-dlya-vuzov-2-izd-stereotip-m-yuniti-dana-s-seriya-professionalnyy-uchebnik.html

გნოზირებულ ძალებს, ე.ი. უნდა ახსნას არა მხოლოდ ის მოვლენები, რომელთა განხილვიდანაც ის აღმოცენდა, არამედ მასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა და პროცესი.

♦ არ იყოს შინაგანად წინააღმდეგობრივი.

განასხვავებენ ჰიპოთეზათა აღწერით და ახსნად სახეებს. აღწერითი ჰიპოთეზები არის ვარაუდები შესასწავლი მოვლენების, პროცესებისა და ობიექტების თვისებებსა და მახასიათებლებზე, რომლებიც ეფუძნება ემპირიულ ფაქტებს. ახსნადი ჰიპოთეზები წარმოადგენს დასაბუთებულ ვარაუდებს შესასწავლ პროცესებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ. ისინი ადგენენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შინაარსს და აფასებენ მათ ძალას.

ჰიპოთეზის შემოთავაზება არის კვლევის მხოლოდ საწყისი ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის იდეას. სამეცნიერო კვლევისადმი მიდგომის შერჩევა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მისი შერჩევისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკვლევი ობიექტის შესახებ დაგროვილი ცოდნა, ობიექტის თვისებები და მახასიათებლები, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ჩატარებისას შესაძლო დაშვებები და შეზღუდვები.

კვლევისადმი არსებული მიდგომების სისტემატიზებისათვის მიზანშეწონილია მათი კლასიფიკაციის განხორციელება. კლასიფიკაციის ნიშნებად შესაძლებელია მოგვევლინოს პრობლების ფორმალიზების ხარისხი, კვლევის სიღრმე, კვლევის ობიექტის მახასიათებლი თვისებების აღრიცხვის შესაძლებლობა.

კვლევისადმი მიდგომების კლასიფიკაცია განზოგადებული ვარიანტით წარმოდგენილია **2.2. ცხრილში**.

პრობლების ფორმალიზების ხარისხის მიხედვით გამოიყოფა **"მკაცრი" და "რბილი" მიდგომები**.

იმ შემთხვევაში, როდესაც კვლევის მიზანი განსაზღვრული და ფორმალიზებულია, ხოლო პრობლემა მოითხოვს ოპტიმალური გადაწყვეტის ძიებას არსებული შეზღუდვების პირობებში, გამოიყენება ე.წ. "მკაცრი" მიდგომა. ეს მიდგომა იყენებს კვლევის ფორმალურ აპარატს და განხილვიდან გამორიცხავს ფორმალიზებას დაუქვემდებარებელ ფაქტორებს. ამის მაგალითად შესაძლებელია მოგვევლინოს მოწყობილობების არაეფექტიანი გამოყენების, პროდუქციის წარმოებაზე მაღალი დანახარჯების, ოპტიმალური ინვესტირების და სხვა პრობლემები.

საკვლევი ობიექტის შესახებ არასაკმარისი ცოდნის ან ობიექტის გაუთვალისწინებელი ქცევის, ინფორმაციის განუსაზღვრელობის და მაღალი რისკის პირობებში პრობლემის გადაჭრის მიზნით გამოიყენება "რბილი" მიდგომა, რომელიც ეყრდნობა კვლევის როგორც ფორმალურ, ისე ევრისტიკულ მეთოდებს.

საკლასიფიკაციო ნიშნის - "კვლევის სიღრმე" - გამოყენებისას შესაძლოა გამოვყოთ **კლინიკური, კვლევითი და საპროექტო მიდგომები**.

კლინიკური მიდგომა ითვალისწინებს პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას და არის საკმარისი დასკვნისათვის კვლევის ობიექტის მდგომარეობის შესახებ. ეს მიდგომა გამოიყენება დიაგნოსტიკისათვის ან კვლევის საწყის ეტაპებზე. კლინიკური მიდგომის მაილუსტრირებელ მაგალითს წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ექსპრეს-ანალიზი ბიზნეს-პროცესების არაეფექტიანობის პრობლემის გადაჭრისას ან სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც მიმართულია შესასწავლი სოციალური პრობლემების ხარისხობრივ ანალიზზე სიტუაციის დიაგნოსტირების, ხელმძღვანელობის ინფორმირების, სოციალური პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტის გზების შემუშავების მიზნით.

კვლევითი მიდგომა ორიენტირებულია მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებაზე მიზნების შესატყვისი ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ არ გამორიცხავს კლინიკურ მიდგომასთან კომბინაციას. მაგალითს წარმოადგენს დარგში ან საწარმოში დანახარჯების შემცირებაზე მიმართული კვლევა ან კვლევები, რომლებიც მიმართულია საინვესტიციო პროექტების ოპტიმალური პაკეტის ფორმირებაზე რისკების მიმიმიზაციით.

საპროექტო მიდგომა, მიზნობრივი დანიშნულებით, მიმართულია კვლევის ობიექტის თვისებების ან გარე სივრცის ცვლილებაზე, რომლებიც იწვევს პრობლემურ სიტუაციას. ამის მაგალითს წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი ორგანიზაციებში.

კვლევის ობიექტის მახასიათებლი თვისებების აღრიცხვის შესაძლებლობის თვალსაზრისით, გამოყოფენ: **ანალოგურ, რედუქციულ, კომპლექსურ, სისტემურ, სიტუაციურ, დიალექტიკურ, ისტორიულ და სხვა მიდგომებს.**

კვლევისადმი ანალოგური მიდგომა, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც საკვლევი პრობლემა ან ობიექტი ნაკლებად შესწავლილია. ამ შემთხვევაში კვლევას საფუძვლად უდევს მკვლევარის მიერ არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შერჩეული ანალოგის ნაცნობი მახასიათებლები და თვისებები.

რედუქციული მიდგომა დაფუძნებულია ვარაუდზე, რომ ობიექტის თვისება დადის მისი ელემენტების თვისებათა ჯამამდე. ამის მაგალითს წარმოადგენს რეგიონული გამოკვლევები, რომელიც ეყრდნობა რეგიონის სუბიექტის კვლევებს.

კვლევებში შედარებით ფართო გამოყენება ჰპოვა კომპლექსურმა მიდგომამ, როდესაც ობიექტი განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისით მთლიანობაში, ხოლო აქცენტი კეთდება კვლევის მრავალასპექტიანობაზე, ობიექტის (მათ შორის ელემენტარულის) განხილვაზე, მისი სხვადასხვა მხარით. მაგალითად, კვლევა კომპანიის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ითვალისწინებს კომპლექსური მიდგომის გამოყენებას, რომელიც ეხება მის ფინანსურ საქმიანობას, კომპანიის შეფასებას კლიენტების თვალსაზრისით, შიდა ბიზნეს-პროცესებისა და პერსონალის საქმიანობის კვლევას.

სისტემური მიდგომა ორიენტირებულია კვლევის ჩატარებაზე არა იმდენად მთელი სისრულით, რამდენადაც მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედებით. მას საფუძვლად უდევს კვლევის ობიექტის მთლიანი განხილვა. მაგალითად გამოდგება სამეურნეო სუბიექტის კომპლექსურ ავტომატიზაციაზე მიმართული კვლევა.

სიტუაციური მიდგომა ითვალისწინებს ობიექტის გამოკვლევას კონკრეტული სიტუაციის, როგორც შიდა და გარე ფაქტორების ერთიანობის, გათვალისწინებით.

დიალექტიკური მიდგომისას მკვლევარი იყენებს ობიექტურად განპირობებულ, მეცნიერულად დამუშავებულ, პრაქტიკულად შემოწმებულ და კონკრეტულ პირობებში ყველაზე ეფექტიანი დიალექტიკური კვლევის პრინციპებს, მაგალითად, ურთიერთკავშირი ზოგადსა და კერძოს, თვისებრიობასა და რაოდენობრიობას, მთლიანსა და ნაწილს შორის, კომპლექსურობის, სისტემურობის, განვითარების და სხვა პრინციპები.

ისტორიული მიდგომა ეფუძნება კვლევის ობიექტის განხილვას გარკვეული დროის ინტერვალში; განიხილავს მის თვისებებსა და მახასიათებლებს წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

კვლევისათვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები და სტანდარტები

კვლევის (მკვლევარის) მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები: კვლევის დაწყებამდე მკვლევარი უნდა გაეცნოს იმ ძირითად მოთხოვნებს, პროცედურებსა და სტანდარტებს, რომლებიც ჩვეულებრივ წაეყენება ხოლმე სამეცნიერო-აკადემიური ხასიათის კვლევებს. ბუნებრივია, სხვადასხვა საკონსულტაციო-კვლევით კომპანიებს ან კვლევების დამკვეთ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს კვლევების ჩატარების, მათი შედეგების გაფორმებისა და წარმოდგენის მიმართ განსხვავებული მოთხოვნები ექნებათ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია კონკრეტული კვლევების ჩატარებისას. წინამდებარე სასწავლო-პრაქტიკულ სახელმძღვანელოში ასახულია კვლევების ჩატარების, მათი შედეგების გაფორმებისა და წარმოდგენისადმი ერთგვარი ზოგადი მიდგომა.

ამ თვალსაზრისით, კვლევა ჩვეულებრივ უნდა მოიცავდეს: კვლევის მიზანს; კვლევის არეალს, მის ფარგლებს; კვლევის კონკრეტულ, სპეციფიკურ საკითხებს; კვლევის ტიპს. ეს საკითხები შეთანხმებული უნდა იყოს კვლევების დამკვეთთან (კვლევების დამფინანსებელთან) ან, სტუდენტების შემთხვევაში, საგნის წამყვან პროფესორთან. მკვლევარის პერსონალურ პასუხისმგებლობას შეადგენს შეთანხმებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარისთვის, დამწყებისა თუ გამოცდილისთვის, რომელიც საქმიანობს ბიზნესის თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, კვლევა არის ისეთი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სწავლასთან, გამოცდილების შეძენასთან.

კვლევითი პროექტის შესრულებით, დამწყებ მკვლევარებს, კვლევების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილების მიღებასთან ერთად, ეძლევათ შემდეგი ცოდნისა და უნარჩვევების შეძენის შესაძლებლობა:

- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- საკვლევის საკითხისა და მიმართულებების განსაზღვრის უნარი;
- კვლევითი პროექტის დაგეგმვისა და შესრულების ცოდნა და უნარი;
- მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ცოდნა;
- დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემის უნარი;
- ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის ცოდნა და უნარი;
- კვლევის მეთოდოლოგიის, მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნა;
- საკვლევი საკითხის დაწვრილებითი ცოდნა;
- შრომისმოყვარეობის,თვითდისციპლინის, ორგანიზებულობის, შემოქმედებითობის (კრეატიულობის) და ა.შ. უნარები;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;

♦ სხვების მიერ ჩატარებული კვლევის შეფასების უნარი;

♦ კვლევის დაგეგმვისა და შესრულების მიმდინარეობის შეფასების უნარი;

♦ ბალანსის დაცვის (მიუკერძოებლობის) უნარი და სხვ.

სამეცნიერო კვლევის პროცესში მკვლევარი აგროვებს მონაცემებს. ამასთან, როგორც უკვე ვიცით, მონაცემები შეიძლება იყოს პირველადი ან მეორადი. პირველადი მონაცემები არის ორიგინალური მონაცემები, რომელსაც აგროვებს უშუალოდ მკვლევარი, ხოლო მეორადი მონაცემები - შეგროვილია სხვა ორგანიზაციის ან მკვლევარის მიერ. მიუხედავად მონაცემების ხასიათისა (პირველადია თუ მეორადი) - კვლევა და მისი შედეგები უნდა იყოს ორიგინალური (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გათვალისწინებულია მხოლოდ არსებული ცოდნის მიმოხილვა).

უშუალოდ კვლევის პროცესში მკვლევარს ექმნება შესაძლებლობა ახლებურად განსაზღვროს ან დააზუსტოს საკვლევი საკითხი, უფრო ღრმად გაიგოს და გააცნობიეროს არსებული პრობლემატიკა, ან აღმოაჩინოს კვლევისთვის უფრო მნიშვნელოვანი და/ან ახალი მიმართულებები. ამასთან, რეალურად არსებული პრობლემის კვლევის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას აგრეთვე უფრო ზოგადი საკითხების შესწავლის აუცილებლობა. ამგვარი შესაძლებლობისათვის ან მოვლენათა ყველა ასეთი მოულოდნელი განვითარებისთვის მკვლევარი მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

სხვადასხვა ტიპის კვლევებზე დაკვირვებით იკვეთება რამდენიმე ძირითადი საკითხი, რაც აერთიანებს ყველა მათგანს. უმთავრესი საკითხი კი ის არის, რომ კვლევის ჩატარებისთვის მკვლევარს ესაჭიროება გარკვეული ცოდნა, სპეციფიკური უნარ-ჩვევები და სხვა პერსონალური თვისებები. კვლევის სასურველი შედეგების მისაღებად მკვლევარს, კვლევის მეთოდების ცოდნასთან ერთად, უნდა გააჩნდეს შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნების უნარი. კერძოდ, მკვლევარი უნდა ცდილობდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მისცემს მას კვლევასთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემების შეგროვებისა და მათი სწორად გააანალიზების შესაძლებლობას. ამასთან, მკვლევარი მოპოვებულ მონაცემებს მკაცრად, კრიტიკულად უნდა ეპყრობოდეს.

კვლევის ჩატარებამდე მკვლევარმა (ისევე, როგორც ბიზნესმენმა, მენეჯერმა და სხვ.) უნდა იცოდეს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხრეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. ამ შემთხვევაში მას შეეძლება ძლიერი მხარეების კიდევ უფრო განვითარება, სუსტი მხარეების აღმოფხვრა (ან გათვალისწინება მაინც), შესაძლებლობების გამოყენება და საფრთხეების თავიდან აცილება.

კვლევის ჩატარების სპეციფიკა არის ის, რომ კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მკვლევარის სხვადასხვა სახის ცოდნა და უნარ-ჩვევებია საჭირო. თითოეული ეტაპის წარმართვა მოითხოვს გარკვეულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და მკვლევარის პირად თვისებებს. კერძოდ, კვლევების ჩასატარებლად საჭიროა მკვლევარს გააჩნდეს:

♦ ცოდნა: - კვლევების ჩატარების ცოდნა (ზოგადი მეთოდოლოგია); ზოგადი ცოდნა ბიზნესში, სოციალურ სფეროში, ეკონომიკაში იმის მიხედვით თუ როგორი ტიპის კვლევებზეა საუბარი; საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა;

♦ უნარ-ჩვევები: - კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; ადმინისტრირების უნარი (მათ შორის დროის მენეჯმენტის უნარი);

♦ პერსონალური თვისებები: კრეატიულობა - შემოქმედებითი უნარ-ჩვევები; მოტივაცია, შრომისმოყვარეობა, შრომითი დისციპლინა, მიზანმიმართულება და სხვ.

2.3. ცხრილში მოცემულია ზოგადი მითითებები მკვლევარის იმ განსაკუთრებული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პერსონალური თვისებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია კვლევის სხვადასხვა ეტაპთან მიმართებაში[21].

კვლევის სტრატეგია და კვლევითი პროექტის წარმატების საიდუმლო: ეჭვგარეშეა, რომ კვლევა ფრიად შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია, იგი მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს. ამიტომ, ნებისმიერი მკვლევარის მიზანი უნდა იყოს კვლევის სტრატეგიის მაქსიმალურად სწორად შემუშავება და შემდეგ დაგეგმილი ღონისძიებების ზუსტად განხორციელება, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი დანახარჯები და მიაღწიოს კვლევითი პროექტით დასახულ მიზნებს. კვლევის სტრატეგია მოიცავს შემდეგ ძირითად ნაბიჯებს:

♦ კვლევის ორგანიზების დაწყება;

♦ სასურველი შედეგების განსაზღვრა;

[21] უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევართა ჯგუფის მიერ კვლევითი პროექტის შესრულებისას, ხელმძღვანელმა ისე უნდა გაანაწილოს პერსონალი, რომ კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მაქსიმალური ეფექტიანობით იქნას გამოყენებული პერსონალის ცოდნა, უნარ-ჩვევები და პირადი თვისებები.

ცხრილი 2.3. მკვლევარისთვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და პერსონალური თვისებები კვლევის ცალკეული ეტაპების მიხედვით

№	კვლევის ეტაპები	საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და პერსონალური თვისებები
1	საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევა	კვლევების ჩატარების ცოდნა, მოტივაცია
2	საკვლევი თემის პირველადი აღწერა-დახასიათება	კვლევების ჩატარების ცოდნა, ადმინისტრირების უნარი
3	საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიება და მიმოხილვა	კვლევების ჩატარების ცოდნა, კომუნიკაციის უნარი
4	კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრა	კვლევების ჩატარების ცოდნა, კრეატიულობა
5	კვლევის გეგმის შემუშავება და მიმართულებების ჩამოყალიბება	კვლევების ჩატარების ცოდნა
6	მონაცემების შეგროვება	დარგის ცოდნა, კომუნიკაციის უნარი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, შრომისმოყვარეობა, მიზანმიმართულობა
7	მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია	დარგის ცოდნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, მოტივაცია
8	მიღებული შედეგების განსჯა	კვლევების ჩატარების ცოდნა, დარგის ცოდნა, კომუნიკაციის უნარი, შრომისმოყვარეობა, მიზანმიმართულობა
9	ზოგადი (საბოლოო) დასკვნის გაკეთება	კვლევების ჩატარების ცოდნა, მოტივაცია, მიზანმიმართულობა
10	კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, თეზისის, მოხსენების) დაწერა	კვლევების ჩატარების ცოდნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, მოტივაცია, მიზანმიმართულობა

♦ კვლევის თემატიკის შერჩევა;

♦ კვლევის კონკრეტული საკითხების/შეკითხვების განსაზღვრა;

♦ კვლევის დეტალური შინაარსის ჩამოყალიბება;

♦ გრაფიკის შედგენა კვლევის ეტაპების თანმიმდევრობის განსაზღვრის მიზნით;

♦ კვლევის ანგარიშის წერის დაწყება.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ კვლევის სტრატეგიის თითოეულ ნაბიჯს.

კვლევის ორგანიზების დაწყება: მეცნიერულად დადგენილი და პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ კვლევა ვერ იქნება წარმატებული კვლევის პროცესის სათანადო ორგანიზების გარეშე. თუ მკვლევარს არ გააჩნია ადმინისტრირების გარკვეული უნარ-ჩვევები ან იგნორირებას უკეთებს კვლევის პროცესის ადმინისტრირების მოთხოვნებს, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს რომ კვლევა ვერ განხორციელდება ან, უკეთეს შემთხვევაში, გაგრძელდება შედარებით უფრო მეტ ხანს და მოითხოვს გაცილებით მეტ ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კვლევის სწორი ორგანიზება და მკვლევარის, როგორც ადმინისტრატორის, კომპეტენცია განაპირობებს კვლევითი პროექტის წარმატებას.

კვლევის ორგანიზება და შემდეგ მისი ადმინისტრირება ნიშნავს შემდეგი სავალდებულო მოთხოვნების შესრულებას:

♦ გამართულად უნდა მუშაობდეს კვლევის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და აღრიცხვის სისტემა; ნებისმიერი კვლევითი მოქმედება უნდა იყოს აღრიცხული და შენახული სპეციალურ აღრიცხვის ჟურნალში ან კომპიუტერში;

♦ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კვლევის

ცხრილი 2.4. კარგი და ცუდი კვლევითი პროექტის ძირითადი მახასიათებლები

კვლევითი პროექტის მახასიათებლები	კარგი პროექტი	ცუდი პროექტი
საკვლევი საკითხი	მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ზუსტად ფოკუსირებული, აკადემიური ხასიათის მატარებელი	არაზუსტი და არაფოკუსირებული
ლიტერატურის მიმოხილვა	მოიცავს თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და ნათლად არის დაკავშირებული საკვლევ საკითხთან	არ არის მკაფიოდ დაკავშირებული საკვლევ თემასთან, არაპრაქტიკულია და არაფოკუსირებული, ანალიზი არასრულყოფილია, საკვლევი საკითხები გამოტოვებული
მეთოდოლოგია	მოცემულია კვლევის მკაფიო გეგმა დეტალების ნათელი მიმოხილვით, დაკავშირებულია კვლევაში მითითებულ ლიტერატურასთან	არ ჩანს კვლევის გეგმა, კვლევის მეთოდების არჩევანი დაუსაბუთებელია, არ ჩანს კავშირი კვლევაში მითითებულ ლიტერატურასთან
მონაცემების შეგროვება და ანალიზი	მონაცემები შეგროვებულია კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად და სრულყოფილად ასახავს საკვლევ საკითხს	მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია გაუგებარია, სუსტია კავშირი საკვლევ საკითხთან
კვლევის შედეგების განსჯა	კვლევის შედეგები ნათელია და ზუსტი, მსჯელობა - ანალიტიკური, შესაძლებელია ახალი ცოდნის გენერირება, საკითხი სიღრმისეულად არის გაგებული და გაცნობიერებული, დაკავშირებულია მითითებულ ლიტერატურასთან	კვლევის შედეგების განსჯა სუსტია, არაზუსტი, შედეგები - გაუგებარი, არ ჩანს კავშირი კვლევის საკითხთან და მითითებულ ლიტერატურასთან
დასკვნა	ნათლად ასახავს კვლევის შედეგებს, მითითებულია კვლევის გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები	ზოგადია, დაუკავშირებელია საკვლევ საკითხთან, არ არის მითითებული კვლევის გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები
ლიტერატურის სია	მითითებული ყველა წყარო ციტირებულია ტექსტში, ბიბლიოგრაფიული მონაცემები სრულია	ჩანს პლაგიატიზმის ნიშნები, წყაროების არ მითითებით ან არაადეკვეტური ციტირებით
დანართები (თუ არის)	ეხება ძირითად ტექსტში არსებულ მასალას და ავსებს მას	ნაკლებად ეხება ძირითად ტექსტში არსებულ მასალას
კვლევის ანგარიშის ენა	ნათელი და გასაგები ტექსტი, შეცდომების გარეშე	გაუმართავი ტექსტი, ბუნდოვანი აზრები, გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომებით

ჩასატარებლად საჭირო ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები. მკვლევარმა ზუსტად უნდა იცოდეს რა ოდენობის რესურსები არის (შეიძლება იყოს) მის განკარგულებაში. ამასთან, მკვლევარმა თავიდანვე მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს, რომ კვლევის მასშტაბი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რესურსებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ან კვლე-

ვა არ დასრულდება დროულად ან დასრულდება არასწორი შედეგებით;

♦ სათანადო საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით უნდა შედგეს იმ ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების სია, რომლებმაც შესაძლოა რაიმე სახის დახმარება გაუწიონ მკვლევარს კვლევის პროცესში, მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია ან დაეხმარონ მონაცემების მოპოვებაში, თავადაც დაინტერესდნენ კვლევის მოსალოდნელი შედეგებით და გაუწიონ კონსულტაცია ან მატერიალურ-ტექნიკური თუ სხვა დახმარება, მონაწილეობა მიიღონ კვლევაში.

სასურველი შედეგების განსაზღვრა: სასურველი შედეგების ჩამოყალიბების დროს მკვლევარი მაქსიმალურად კონკრეტული უნდა იყოს. მკვლევარმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იცოდეს კვლევისაგან მოსალოდნელი შედეგები. ვთქვათ, მკვლევარი აპირებს საქართველოში მოქმედი მცირე ბიზნეს-კომპანიების წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების გარკვევას, უკეთესი იქნება ფოკუსირება მოხდეს კიდევ უფრო სპეციფიკურ, კონკრეტულ მიმართულებაზე და არა ზოგადად მცირე კომპანიებზე. შესაძლებელია სასურველ შედეგებში ვიგულისხმოთ ჩატარებული კონკრეტული კვლევის შედეგების პუბლიკაცია და ა.შ.

კვლევის თემატიკის შერჩევა: კვლევის თემატიკის შერჩევისას, როგორც წესი, ჩნდება ერთგვარი კონფლიქტი მკვლევარის სურვილსა და კვლევის მიზანშეწონილობასა თუ შესაძლებლობას შორის. ცხადია, კვლევის თემატიკა უნდა შეირჩეს სურვილსა და შესაძლებლობას შორის გონივრული კომპრომისის პირობებში.

კვლევის კონკრეტული საკითხების/შეკითხვების განსაზღვრა: შესაძლოა მკვლევარს აინტერესებდეს ტურისტული ბიზნესის განვითარება საქართველოში, მაგრამ ეს ძალიან ზოგადი თემაა, რომელიც უზარმაზარ რესურსებს მოითხოვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროა თემის დაკონკრეტება, ფოკუსირება სპეციფიკურ საკითხზე, ვთქვათ, ტურიზმის პერსპექტივები ანაკლიაში ან სამონადირეო ტურიზმი ლაგოდეხის ნაკრძალში და უფრო კონკრეტულად - ლაგოდეხის ნაკრძალში სამონადირეო ტურიზმის ორგანიზაციულ-მენეჯერული თავისებურებები. ამასთან, სასურველია კვლევის თემატიკა ისე ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი იყოს შემდგომში მისი გაგრძელება.

კვლევის დეტალური შინაარსის ჩამოყალიბება: კვლევის დაწყებამდე მკვლევარმა უკვე უნდა იცოდეს მომავალი კვლევის ანგარიშის მიახლოებითი შინაარსი. მაგალითად, საკვლევი თემისთვის - "ლაგოდეხის ნაკრძალში სამონადირეო ტურიზმის ორგანიზაციულ-მენეჯერული თავისებურებები" - საჭირო იქნება ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიცაა: ტურიზმი საქართველოში, სამონადირეო ტურიზმი მსოფლიოსა და საქართველოში, საქართველოს ტურისტული აღკვეთილებისა და ნაკრძალების მიმოხილვა, უფრო კონკრეტულად და სრულყოფილად - ლაგოდეხის ნაკრძალის დახასიათება, მისი ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებანი, ფლორა და ფაუნა, ტურისტული კომპანიების ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმეტის მახასიათებლები, ტურისტების შთაბეჭდილებები და ა.შ.

გრაფიკის შედგენა კვლევის ეტაპების თანმიმდევრობის განსაზღვრის მიზნით: კვლევითი პროექტის შინაარსის მონახაზის დადგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს პროექტის (კვლევის) შესრულების დრო - კალენდარული გრაფიკის სახით, სადაც მითითებული იქნება ის, თუ დროის რა მონაკვეთში რომელი საკითხები იქნება დამუშავებული. კვლევის გრაფიკი, რომელიც ფაქტობრივად არ იქნება აბსოლუტურად ზუსტი, მკვლევარს ერთგვარ გზამკვლევად გამოადგება, რომელიც შესაძლოა დრო და დრო დაზუსტეს.

კვლევის ანგარიშის წერის დაწყება: კვლევის ანგარიშის წერის დაწყება, პირველ რიგში, გულისხმობს კვლევის მიმდინარეობისას მიღებული ყველა შედეგის (როგორც პოზიტიურის, ისე ნეგატიურის) დროულად დაფიქსირებას. ამასთან, ანგარიშის წერა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაწყებული, რომელშიც აისახება: შენიშვნები საკვლევი თემის შესახებ, სპეციფიკური შეკითხვები,მოსაზრებები,გეგმები,იდეები, ლიტერატურის მოძიებისა და მიმოხილვის დროს წარმოქმნილი მოსაზრებები, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესში გაკეთებული დასკვნები და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად მკვლევარი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ანგარიშის ტექსტის ხარისხს, სტრუქტურას, სტილს, გრამატიკულ შეცდომებს და სხვ. ტექსტში არსებული გრამატიკული და ორთოგრაფიული ხარვეზები ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს და ამცირებს კვლევის ღირებულებას. ამიტომ მკვლევარმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს არა მხოლოდ ანგარიშის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს, არამედ აგრეთვე ტექსტის ხარისხს, სტილსა და გრამატიკას.

კარგი კვლევის ჩასატარებლად და შესაბამისი ანგარიშის დასაწერად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ზემოთ იყო განხილული. კარგი კვლევა

იწყება სწორი დაგეგმვით და გრძელდება კვლევის სტრატეგიის მოთხოვნათა დაცვით, მონაცემების კორექტულად შეგროვებით, დამუშავებით, ანალიზით და ინტერპრეტაციით. შეიძლება ითქვას, რომ კვლევა კარგად არის ჩატარებული და წარმოდგენილი, თუკი კვლევის პროცესის ეტაპები სრულყოფილად არის შესრულებული და კვლევითი პროექტის სტრუქტურის ელემენტები სათანადოდ არის დამუშავებული[22].

კარგ კვლევით პროექტში: საკვლევი საკითხი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ზუსტად არის ფოკუსირებული და ატარებს აკადემიურ ხასიათს; ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და ნათლად არის დაკავშირებული საკვლევ საკითხთან; კვლევის მეთოდოლოგიაში მოცემულია კვლევის მკაფიო გეგმა, დეტალების ნათელი მიმოხილვით, მეთოდოლოგია დაკავშირებულია კვლევაში მითითებულ ლიტერატურასთან; მონაცემები შეგროვებულია კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად და სრულყოფილად ასახავს საკვლევ საკითხს; კვლევის შედეგები ნათელია და ზუსტი, მსჯელობა - ანალიტიკური, შესაძლებელია ახალი ცოდნის გენერირება, საკითხი სიღრმისეულად არის გაგებული და გაცნობიერებული, დაკავშირებულია მითითებულ ლიტერატურასთან; დასკვნა ნათლად ასახავს კვლევის შედეგებს, მითითებულია კვლევის გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები; ლიტერატურის სიაში მითითებული ყველა წყარო ციტირებულია ტექსტში, ბიბლიოგრაფიული მონაცემები სრულია; დანართები (თუ არის) ეხება ძირითად ტექსტში არსებულ მასალას და ავსებს მას; კვლევის ანგარიში ნათელია და გასაგები, ტექსტი შეცდომების გარეშეა.

კარგი პროექტის ნეგატიური სარკისებური ასახვაა ცუდი პროექტი. **კვლევითი პროექტი ცუდად არის შესრულებული** თუ: საკვლევი საკითხი არაზუსტია და არაფოკუსირებული; ლიტერატურის მიმოხილვა არ არის მკაფიოდ დაკავშირებული საკვლევ თემასთან, არაპრაქტიკულია და არაფოკუსირებული, ანალიზი - არასრულყოფილია, საკვლევი საკითხები - გამოტოვებული; მეთოდოლოგიაში არ ჩანს კვლევის გეგმა, კვლევის მეთოდების არჩევანი დაუსაბუთებელია, არ ჩანს კავშირი ლიტერატურასთან; მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია გაუგებარია, სუსტია კავშირი საკვლევ საკითხთან; კვლევის შედეგების განსჯა სუსტია, არაზუსტი, შედეგები - გაუგებარი, არ ჩანს კავშირი კვლევის საკითხთან და მითითებულ ლიტერატურასთან; დასკვნა ზოგადია, დაუკავშირებელია საკვლევ საკითხთან, არ არის მითითებული კვლევის გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები; ლიტერატურის სიაში ჩანს პლაგიატიზმის ნიშნები, წყაროების არ მითითებით ან არაადეკვატური ციტირებით; დანართები (თუ არის) ნაკლებად ეხება ძირითად ტექსტში არსებულ მასალას; კვლევის ანგარიშის ტექსტი გაუმართავია, აზრები - ბუნდოვანია, მრავლად არის, გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომები. 2.4. ცხრილში ერთობლივად არის წარმოდგენილი კარგი და ცუდი კვლევითი პროექტების ძირითადი მახასიათებლები.

დასკვნა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახალი ცოდნის მიღებასა და გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა. უფრო კონკრეტულად, კვლევა - ეს არის ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესი, რომელიც ტარდება სისტემატურად, ორგანიზებულად, მეთოდურად და, რომელიც ზრდის ჩვენს ცოდნას.

2. კვლევის პროცესის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება არის მისი ციკლური ხასიათი. იგი, როგორც წესი, იწყება პრობლემის დასმით და სრულდება საცდელი ემპირიული განზოგადებით. განზოგადება, რომელიც ასრულებს ერთ ციკლს, თავის მხრივ, იწყებს მომდევნო ციკლს, რამდენადაც შესაძლოა მიღებულმა შედეგებმა ახალი საკვლევი პრობლემა წამოჭრას, რაც ციკლის განმეორებას გამოიწვევს. ეს ციკლური პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და მეცნიერულ პროგრესს ასახავს.

3. კვლევის პროცესი ხასიათდება რამდენიმე ძირითადი ფუნდამენტური ეტაპით, რომლებიც აუცილებელია ყველა სამეცნიერო ხასიათის კვლევითი პროცესისათვის მიუხედავად იმისა კვლევა იაპონიაში ტარდება, საფრანგეთსა თუ საქართველოში, დიდ თუ მცირე კომპანიაში, ბიზნესისა თუ სხვა სოციალურეკო-ნომიკური მიზნებისთვის. ეს ეტაპები, ფაქტობრივად, ასახავს კვლევის ჩატარებისა და მისი შედეგების მიღებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევიდან დაწყებული და კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, მოხსენების, თეზისის) დაწერით დასრულებული.

[22] *უფრო დაწვრილებით იხილეთ:* Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, McGraw-Hill/Irwin, 12th Edition, 2013, ISBN 978-0-07-352150-3, p. 15-18: https://www.pdfdrive.com/ business-research-methods-12th-edition-e36607629.html

4. კვლევა და მისი შედეგები, პირველ რიგში, ესაჭიროება ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას, რათა სწორად იქნეს შემუშავებული ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, მიღებულ იქნეს ეფექტიანი გადაწყვეტილებები ქვეყნისთვის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე. ამასთან, კვლევები ესაჭიროება ყველა ორგანიზაციას, იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საჭირო საქმიანობით არის დაკავებული. სხვადასხვა ტიპის კვლევები აუცილებელია ბიზნესის მესაკუთრეების, მენეჯერების, მრჩეველებისა და კონსულტანტებისთვის ბიზნესის განვითარებაზე ახალი და მომგებიანი იდეების ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის მიზნით. დაბოლოს, კვლევები ესაჭიროება სამეცნიერო-საგანმანათლებლო სექტორს შემდგომი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, თუ სხვა პრაქტიკული მიზნებისათვის.

5. სამეცნიერო კვლევის მიზნები შესაძლოა მოიცავდეს პრობლემათა ძალიან ფართო სპექტრს, დაწყებული მცირე- და საშუალო ბიზნეს-საწარმოებიდან და დამთავრებული საჯარო/არასამთავრობო ორგანიზაციებით, სახელმწიფო მართვის ორგანოებით და უმაღლესი სასწავლებლებით. თემატურად, ეს შეიძლება იყოს არსებული ცოდნის მიმოხილვა, ანალიზი/სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; კვლევის ახალი სისტემის ან პროცედურის შექმნა; ახალი მოვლენების ახსნა და გადაწყვეტილების ჩამოყალიბება საკვლევი საკითხების ირგვლივ.

6. სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაციის პრინციპები ეფუძნება კვლევების ტიპოლოგიაში გამოყენებულ კრიტერიუმებს. სამეცნიერო კვლევების ძირითადი ტიპების გამოყოფა შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით. წინამდებარე სასწავლოპრაქტიკულ სახელმძღვანელოში კვლევების კლასიფიკაცია ხორციელდება იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც საერთოა ყველა ტიპის კვლევისათვის, კერძოდ: კვლევის დონის, კვლევის მიზნობრივი დანიშნულების, კვლევის პროცესის შინაარსის, კვლევის შედეგების წარდგენის ფორმის, კვლევის ჩატარების ხანგრძლივობის, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და კვლევის ლოგიკის მიხედვით. ამასთან, საკლასიფიკაციო ნიშნების ჩამონათვალი შესაძლებელია გაფართოვდეს მასში ისეთი ნიშნების ჩართვით, როგორიცაა: კვლევის ინიცირების წესი, კვლევაში გამოყენებული საშუალებები, მონაწილეთა რაოდენობა, კვლევის დაფინანსების წყარო, კვლევის პროცესისა და მისი შედეგების ასახვის ფორმა და ა.შ.

7. სამეცნიერო კვლევის ამოსავალ მომენტს წარმოადგენს პრობლემის გამოვლენა. ჰიპოთეზის შემოთავაზება არის კვლევის მხოლოდ საწყისი ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის იდეას. სამეცნიერო კვლევისადმი მიდგომის შერჩევა კი განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მისი შერჩევისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკვლევი ობიექტის შესახებ დაგროვილი ცოდნა, ობიექტის თვისებები და მახასიათებლები, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ჩატარებისას შესაძლო დაშვებები და შეზღუდვები. კვლევისადმი არსებული მიდგომების სისტემატიზებისათვის მიზანშეწონილია მათი კლასიფიკაციის განხორციელება. კლასიფიკაციის ნიშნებად შესაძლებელია მოგვევლინოს პრობლების ფორმალიზების ხარისხი, კვლევის სიღრმე, კვლევის ობიექტის მახასიათებლი თვისებების აღრიცხვის შესაძლებლობა.

8. სხვადასხვა ტიპის კვლევებზე დაკვირვებით იკვეთება რამდენიმე ძირითადი საკითხი, რაც აერთიანებს ყველა მათგანს. უმთავრესი საკითხი კი ის არის, რომ კვლევის ჩატარებისთვის მკვლევარს ესაჭიროება გარკვეული ცოდნა, სპეციფიკური უნარ-ჩვევები და სხვა პერსონალური თვისებები. კვლევის სასურველი შედეგების მისაღებად მკვლევარს, კვლევის მეთოდების ცოდნასთან ერთად, უნდა გააჩნდეს შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნების უნარი. კერძოდ, მკვლევარი უნდა ცდილობდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მისცემს მას კვლევასთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემების შეგროვებისა და მათი სწორად გააანალიზების შესაძლებლობას. ამასთან, მკვლევარი მოპოვებულ მონაცემებს მკაცრად, კრიტიკულად უნდა ეპყრობოდეს.

9. კვლევა ფრიად შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია, იგი მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს. ამიტომ, ნებისმიერი მკვლევარის მიზანი უნდა იყოს კვლევის სტრატეგიის მაქსიმალურად სწორად შემუშავება და შემდეგ დაგეგმილი ღონისძიებების ზუსტად განხორციელება. კვლევის სტრატეგია მოიცავს შემდეგ ძირითად ნაბიჯებს: კვლევის ორგანიზების დაწყება; სასურველი შედეგების განსაზღვრა; კვლევის თემატიკის შერჩევა; კვლევის კონკრეტული საკითხების/შეკითხვების განსაზღვრა; კვლევის დეტალური შინაარსის ჩამოყალიბება; გრაფიკის შედგენა კვლევის ეტაპების თანმიმდევრობის განსაზღვრის მიზნით; კვლევის ანგარიშის წერის დაწყება.

10. კარგი კვლევის ჩასატარებლად და შესაბამისი ანგარიშის დასაწერად მხედველობა-

ში უნდა იქნეს მიღებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა და სტანდარტი. კარგი კვლევა იწყება სწორი დაგეგმვით და გრძელდება კვლევის სტრატეგიის მოთხოვნათა დაცვით, მონაცემების კორექტულად შეგროვებით, დამუშავებით, ანალიზით და ინტერპრეტაციით. შეიძლება ითქვას, რომ კვლევა კარგად არის ჩატარებული და წარმოდგენილი, თუკი კვლევის პროცესის ეტაპები სრულყოფილად არის შესრულებული და კვლევითი პროექტის სტრუქტურის ელემენტები სათანადოდ არის დამუშავებული.

საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის

1. ანალიტიკური კვლევა
2. აღწერითი კვლევა
3. გაზომვა
4. გამოყენებითი კვლევა
5. განზოგადება
6. დედუქციური კვლევა
7. ემპირიული კვლევა
8. ემპირიული მტკიცებულება
9. თეორიული კვლევა
10. თვისებრივი კვლევა
11. ინდუქციური კვლევა
12. კვლევითი პროექტი
13. კვლევის ანგარიში
14. კვლევის გეგმა
15. კვლევის დიზაინი
16. კვლევის მიზნები
17. კვლევის პარადიგმა
18. კვლევის პროცესი
19. კვლევის სტრატეგია
20. კლინიკური მიდგომა
21. მონაცემების ანალიზი
22. მონაცემების შეგროვება
23. პირველადი კვლევა
24. რაოდენობრივი კვლევა
25. რედუქციული მიდგომა
26. საკვლევი თემა
27. სიტუაციური მიდგომა
28. საპროგნოზო კვლევა
29. ფუნდამენტური კვლევა
30. ჰიპოთეზა

საკონტროლო კითხვები და დავალებები

1. ახსენით, რა მოიაზრება ტერმინში "კვლევა".
2. ახსენით, თქვენი შეხედულებით, რითი არის განპირობებული კვლევების ჩატარების აუცილებლობა.
3. დაასახელეთ და განმარტეთ სამეცნიერო კვლევის ძირითადი მახასიათებლები.
4. ჩამოაყალიბეთ კვლევის ტიპიური მიზნები სწავლების სხვადასხვა - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებისათვის.
5. განსაზღვრეთ, ვინ არის კვლევისა და მისი შედეგების მომხმარებელი.
6. განსაზღვრეთ, რა კრიტერიუმები შეიძლება დაედოს საფუძვლად სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაციას.
7. ჩაატარეთ კვლევების კლასიფიკაცია (2.1. ცხრილისა და 2.4. ნახაზის გამოყენებით).
8. ახსენით, რა მოიაზრება ემპირიულ და თეორიულ კვლევაში და არსებობს თუ არა მათ შორის ურთიერთკავშირი.
9. ახსენით, რა არის პირველადი კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
10. ახსენით, რა არის აღწერითი კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
11. ახსენით, რა არის ანალიტიკური კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
12. ახსენით, რა არის საპროგნოზო კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
13. ახსენით, რა არის რაოდენობრივი კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
14. ახსენით, რა არის თვისებრივი კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
15. ახსენით, რა არის გამოყენებითი კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
16. ახსენით, რა არის ფუნდამენტური კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
17. ახსენით, რა არის დედუქციური კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
18. ახსენით, რა არის ინდუქციური კვლევა (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).
19. ახსენით, კვლევის პროცესის ჩატარების ზოგადი მეთოდოლოგიური თანმიმდევრობა (2.3. ნახაზის გამოყენებით).
20. ახსენით, რა არის რაოდენობრივი მონაცემები (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).

21. ახსენით, რა არის თვისებრივი მონაცემები (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).

22. ახსენით, რა არის პირველადი მონაცემები (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).

23. ახსენით, რა არის მეორადი მონაცემები (მოიყვანეთ ნებისმიერი მაგალითი ბიზნესის სფეროდან).

24. განსაზღვრეთ, შესაძლებელია თუ არა ჩატარდეს ორიგინალური კვლევა თუ გვაქვს მხოლოდ მეორადი მონაცემები.

25. განმარტეთ, ტერმინი - "ჰიპოთეზა", დაახასიათეთ ჰიპოთეზის მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევაში.

26. ჩაატარეთ სამეცნიერო კვლევისადმი არსებული მიდგომების კლასიფიკაცია (2.2. ცხრილის გამოყენებით).

27. განსაზღვრეთ, მკვლევარისთვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და პერსონალური თვისებები კვლევის ცალკეული ეტაპების მიხედვით (2.3. ცხრილის გამოყენებით).

28. ჩამოაყალიბეთ კვლევის სტრატეგიის ძირითადი მოთხოვნები (ნაბიჯები).

29. ჩამოაყალიბეთ კარგი და ცუდი კვლევითი პროექტების მახასიათებლები (2.4. ცხრილის გამოყენებით).

30. სტუდენტმა სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში კვლევის თემა და მიზანი ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

კვლევის თემა: - "შიდაკორპორაციული სტრატეგიული და ოპერაციული მართვის შეხამება ბიუჯეტირებისა და კონტროლის საფუძველზე".

კვლევის მიზანი: - კორპორაციებისა და სახელმწიფო უწყებებისათვის კომპლექსური მართვის მოდელის სამეცნიერო-მეთოდური თვალსაზრისით დასაბუთება და დამუშავება, რომელიც სტრატეგიულ მიზანდასახულობას გააერთიანებს ბიუჯეტირებასა და ფინანსურ კონტროლთან, დანახარჯების დაჯგუფებისა და განაწილების ალგორითმის დახმარებით.

არსებულ ინფორმაციასა და ტერმინების - "კვლევის თემა", "კვლევის მიზანი" - განსაზღვრებებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ კვლევის ამოცანები.

31. სტუდენტმა სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში კვლევის თემა ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: - "კომპანიის ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციური ფაქტორები და რისკები".

ახსენით, არის თუ არა დასახელებული კვლევის თემა აქტუალური, დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

32. განსაზღვრეთ ობიექტი და საგანი შემდეგი სამეცნიერო კვლევებისათვის:

(ა) ფასწარმოქმნის სტრატეგიის ოპტიმიზაცია ახალი პროდუქტისათვის;

(ბ) დანახარჯების ოპტიმიზაცია ბეჭდურ რეკლამაზე;

(გ) სასაწყობე შენობების ეფექტიანობის შეფასება სავაჭრო-სადისტრიბუციო კომპანიაში;

(დ) სავაჭრო პერსონალის ბონუსების ფორმირების სქემის ოპტიმიზაცია;

(ე) საბანკო მომსახურების სპექტრის გაფართოება ელექტრონული გადახდების მიხედვით.

33. განსაზღვრეთ პრობლემის ძირითადი წყარო, პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას და გამომდინარეობს ძირითადი პრობლემიდან, ასევე პრობლემა, რომელიც მოითხოვს გამოკვლევას შემდეგი სიტუაციის გაანალიზებით:

(ა) კომპანია პეხ ჩჰემიცალშუპპლყ არის აუზების მოვლის საშუალებათა მწარმოებელი. ცოტა ხნის წინ, ქიმიური შემადგენლობის ამრევი მოწყობილობის მუშაობაში გაუმართაობამ, რომელიც ხელს უშლის წყალმცენარეების წარმოქმნას, გამოიწვია ის ფაქტი, რომ გამოშვებული იქნა საქონლის პარტია, რომელიც არა მხოლოდ აფერხებს წყალმცენარეების ზრდას, არამედ ასევე წყალს აძლევს ლამაზ ნათელლურჯ ფერს (არასასურველი გვერდითი ეფექტების გარეშე).

(ბ) კომპანია PMC მიაღწია წარმატებას მცირე რეგიონულ ბაზარზე. ხელმძღვანელობამ ეს წარმატება, მნიშვნელოვანწილად, ახსნა განაწილების უნიკალური სისტემის მოქმედებით, რომელმაც ახალი საქონლის კვირაში არა უმცირეს ორჯერ მიწოდების გარანტია მისცა საცალო მაღაზიებს. კომპანიის დირექტორებმა გადაწყვიტეს Montgomery-სათვის გაეფართოებინათ გეოგრაფიული ბაზარი იმ პირობით, რომ არ შეიცვლებოდა საქონლის ორჯერ მიწოდების რეჟიმი.

34. შეარჩიეთ აკადემიური ჟურნალი თქვენი სპეციალობის მიხედვით, განიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია და შეაფასეთ ისინი კვლევის ბუნების (დონის), მიზნობრივი დანიშნულების, პროცესის შინაარსის, შედეგების წარდგენის ფორმის, ჩატარების ხანგრძლივობის, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და ლოგიკის მიხედვით. ხაზგასმით აღნიშნეთ, არის ეს კვლევა:

- თეორიული თუ/ან ემპირიული;
- პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური თუ/ან საპროგნოზო;

- თვისებრივი თუ/ან რაოდენობრივი;
- ფუნდამენტური თუ/ან გამოყენებითი;
- გრძელვადიანი, მოკლევადიანი თუ/ან ექსპრეს კვლევა;
- გარღვევითი თუ/ან განვითარებითი;
- დედუქციური თუ/ან ინდუქციური.

საგამოცდო ტესტები

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება, როგორც:

ა. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა;

ბ. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვაზე მიმართული საქმიანობა;

გ. ახალი ცოდნის მიღებასა და გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა;

დ. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

2. კვლევის ჩატარების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი არის:

ა. რაიმე ახალი მოვლენის შესწავლა;

ბ. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვა;

გ. ძველი დებულების ახალ ვითარებაში შემოწმება;

დ. მოცემული საკითხის შესახებ არსებული ცოდნის ზრდა.

3. ფაქტობრივად კვლევითი პროექტის შესავალს წარმოადგენს:

ა. საკვლევი თემის პირველად აღწერა-დახასიათება;

ბ. საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევა;

გ. კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრა;

დ. მონაცემების შეგროვება.

4. პრობლემური სიტუაციის მატარებელს, რომელზეც მიმართულია კვლევითი საქმიანობა, წარმოადგენს:

ა. საკვლევი ობიექტი;

ბ. სამეცნიერო იდეა ან კონცეფცია;

გ. მეთოდები, მოდელები, კანონები და კანონზომიერებები;

დ. ახალი ცოდნა და ახალი სამეცნიერო ინფორმაცია.

5. კვლევის საგნად გვევლინება:

ა. მკვლევარის მიერ გადასაჭრელად დასმული პრობლემა;

ბ. რაიმეზე შეხედულებათა სისტემა, ძირითადი აზრი, როდესაც განსაზღვრულია კვლევის მიზანი, ამოცანები და მითითებულია მისი განხორციელების გზები;

გ. სამეცნიერო იდეა ან კონცეფცია;

დ. უშუალო შესწავლას დაქვემდებარებული ობიექტის თვისება, ქცევა, ფუნქციონირება.

6. სამეცნიერო კვლევის მიზანი არის:

ა. პრობლემის გარკვეული ასპექტების გამოკვეთა;

ბ. კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთება;

გ. სამეცნიერო იდეის ან კონცეფციის განსაზღვრა;

დ. კონკრეტული ობიექტის განსაზღვრა და მისი სტრუქტურის, მახასიათებლების, კავშირების ყოველმხრივი და საიმედო შესწავლა მეცნიერებაში არსებული შემეცნების პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე, ასევე ადამიანის საქმიანობისათვის სასარგებლო შედეგების მიღება და მისი წარმოებაში დანერგვა.

7. საკვლევი თემა ასახავს:

ა. მეცნიერებაში არსებულ შემეცნების პრინციპებსა და მეთოდებს;

ბ. კონკრეტული ობიექტის განსაზღვრას და მისი სტრუქტურის, მახასიათებლების, კავშირების ყოველმხრივ და საიმედო შესწავლას;

გ. სამეცნიერო იდეას ან კონცეფციას;

დ. პრობლემის გარკვეულ ასპექტებს და მოიცავს გადაწყვეტილების მიღების მიმართულებას.

8. ერთგვარი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ხასიათს, კვლევის მიმდინარეობას, წოდებულია:

ა. ჰიპოთეზად;

ბ. კვლევის პარადიგმად;

გ. სამეცნიერო იდეად ან კონცეფციად;

დ. კვლევის გეგმად.

9. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შედეგს (გამოსავალს) წარმოადგენს:

ა. კვლევის ობიექტი, საგანი, თემა, მიზანი და ამოცანები;

ბ. სამეცნიერო იდეა ან კონცეფცია;

გ. მეურნეობრიობის ახალი მეთოდები;

დ. ახალი ცოდნა და ახალი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გაფორმებული იქნეს სამეცნიერო ანგარიშის სახით.

10. კონცეფცია არის:

ა. სახელმძღვანელო იდეა ან იდეათა ერთობლიობა, რომელიც გვთავაზობს ახალ თეორიულ ბაზას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ან პროცესების გაგებისა და კვლევისათვის;

ბ. კონკრეტული ობიექტის განსაზღვრა და მისი სტრუქტურის, მახასიათებლების, კავშირების ყოველმხრივი და საიმედო შესწავლა;

გ. დასახული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ეტაპები;

დ. ადამიანის საქმიანობისათვის სასარგებლო შედეგების მიღება და მისი წარმოებაში დანერგვა.

11. კვლევის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა:

ა. თეორიული და ემპირიული კვლევები;

ბ. პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევები;

გ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები;

დ. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

12. კვლევის პროცესის შინაარსის მიხედვით არსებობს:

ა. თეორიული და ემპირიული კვლევები;

ბ. პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევები;

გ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები;

დ. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

13. კვლევის შედეგების წარდგენის ფორმის მიხედვით გამოიყოფა:

ა. თეორიული და ემპირიული კვლევები;

ბ. პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევები;

გ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები;

დ. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

14. მეცნიერებაში შეტანილი წვლილის მიხედვით არსებობს:

ა. გარღვევითი და განვითარებითი კვლევები;

ბ. პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევები;

გ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები;

დ. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

15. კვლევის ლოგიკის მიხედვით გამოიყოფა:

ა. გარღვევითი და განვითარებითი კვლევები;

ბ. დედუქციური და ინდუქციური კვლევები;

გ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები;

დ. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

16. გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების შეცნობაზე, რეალური სინამდვილის ობიექტებსა და მოვლენებს შორის ახალი კავშირებისა და ურთიერთობების გამოვლენაზე, ახალი ფუნდამენტური კანონებისა და პრინციპების აღმოჩენაზე, მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის შექმნაზე ორიენტირებულია:

ა. საძიებო სამეცნიერო კვლევები;

ბ. ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები;

გ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა;

დ. გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები.

17. საზოგადოების ახალი პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებულია:

ა. ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები;

ბ. საძიებო სამეცნიერო კვლევები;

გ. გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები;

დ. სამეცნიერო ინფორმაცია, რომლის ბაზაზეც ყალიბდება ახალი ცოდნა.

18. ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან და განუსაზღვრელობასთან კონკრეტული დადებითი შედეგის მიღების თვალსაზრისით, რომლის ალბათობა:

ა. არ აღემატება 5%-ს;

ბ. არ აღემატება 10%-ს;

გ. აღემატება 10%-ს;

დ. აღემატება 15%-ს.

19. კვლევის პერსპექტიულობის განსაზღვრასა და სამეცნიერო ამოცანების გადაჭრის გზების ძიებაზე მიმართულია:

ა. საძიებო სამეცნიერო კვლევები;

ბ. ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები;

გ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა;

დ. გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები.

20. მოვლენის გაანალიზება და იმის ახსნა, თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, ხორციელდება:

ა. გარღვევითი კვლევისას;

ბ. პირველადი კვლევისას;

გ. აღწერითი კვლევისას;

დ. ანალიტიკური კვლევისას.

21. ფუნდამენტური ან გამოყენებითი კვლევის დასრულებული ნაწილი წარმოადგენს:

ა. სამეცნიერო დამუშავებებს;

ბ. კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთებას;

გ. სამეცნიერო იდეის ან კონცეფციის განსაზღვრას;

დ. პრობლემის გარკვეული ასპექტების გამოკვეთას.

22. ისეთი კვლევა, როდესაც ხორციელდება

ზოგადი თეორიული დებულებების და კონცეფციების განვითარება, დამუშავება და შემოწმება (ტესტირება) ემპირიული დაკვირვებების მეშვეობით, მიეკუთვნება:

ა. დედუქციურს;
ბ. გარღვევითს;
გ. გამოყენებითს;
დ. ინდუქციურს.

23. ისეთი კვლევა, როდესაც ხორციელდება ზოგადი კანონზომიერების ჩამოყალიბება ინდივიდუალური, ემპირიული დაკვირვევებიდან, თეორიის განვითარება ემყარება რეალობის შესახებ არსებული ემპირიული ინფორმაციის დამუშავების შედეგებს, არის:

ა. დედუქციური;
ბ. გარღვევითი;
გ. გამოყენებითი;
დ. ინდუქციური.

24. ვარაუდები შესასწავლი მოვლენების, პროცესებისა და ობიექტების თვისებებსა და მახასიათებლებზე, რომლებიც ეფუძნება ემპირიულ ფაქტებს, არის:

ა. საძიებო ჰიპოთეზები;
ბ. გამოყენებითი ჰიპოთეზები;
გ. აღწერითი ჰიპოთეზები;
დ. ახსნადი ჰიპოთეზები.

25. დასაბუთებული ვარაუდები შესასწავლ პროცესებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ არის:

ა. საძიებო ჰიპოთეზები;
ბ. გამოყენებითი ჰიპოთეზები;
გ. აღწერითი ჰიპოთეზები;
დ. ახსნადი ჰიპოთეზები.

26. დაფინანსების წყაროს მიხედვით სამეცნიერო კვლევის სახეებს არ მიეკუთვნება:

ა. საბიუჯეტო;
ბ. გამოყენებითი;
გ. დაუფინანსებელი;
დ. სახელშეკრულებო.

27. ჩატარების ხანგრძლივობის მიხედვით სამეცნიერო კვლევის სახეებს არ მიეკუთვნება:

ა. მოკლევადიანი;
ბ. გრძელვადიანი;
გ. ექსპრეს-კვლევა;
დ. სახელშეკრულებო.

28. მეცნიერებაში შეტანილი წვლილის მიხედვით სამეცნიერო კვლევის სახეებს მიეკუთვნება:

ა. მოკლევადიანი;
ბ. ექსპრეს-კვლევა;
გ. გარღვევითი;
დ. სახელშეკრულებო.

29. ინიცირების წესის მიხედვით სამეცნიერო კვლევის სახეებს არ მიეკუთვნება:

ა. შეკვეთილი;
ბ. სისტემატიზებული;
გ. ექსპრეს-კვლევა;
დ. ინიციატივური (სპონტანური).

30. გამოყენებითი კვლევები, როგორც წესი, გვხვდება:

ა. მოკლევადიანი, 1 წლამდე ვადით;
ბ. მოკლევადიანი, 6 თვემდე ვადით;
გ. გრძელვადიანი, 1 წელზე მეტი ვადით;
დ. გრძელვადიანი, 3 წელზე მეტი ვადით.

31. ძირითადად გაცნობითი მიზნით ტარდება და უმოკლეს ვადებში, გამარტივებული სქემით ხორციელდება:

ა. შეკვეთილი კვლევები;
ბ. სისტემატიზებული კვლევები;
გ.ექსპრეს-კვლევები;
დ. ინიციატივური (სპონტანური) კვლევები.

32. გარემოსა და საზოგადოებაზე ფუნდამენტური წარმოდგენების შემცვლელი,პრინციპულად ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებულია:

ა. გარღვევითი კვლევები;
ბ. შეკვეთილი კვლევები;
გ. ინიციატივური (სპონტანური) კვლევები;
დ. საძიებო კვლევები.

33. სამეცნიერო ვარაუდი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული ან უარყოფილი და საჭიროებს მეცნიერულ დასაბუთებას (უარყოფას), იწოდება:

ა. დოგმად;
ბ. ჰიპითეზად;
გ. მიდგომად;
დ. პრობლემად.

34. კვლევის ფორმალურ აპარატს იყენებს და განხილვიდან გამორიცხავს ფორმალიზაციას დაუქვემდებარებელ ფაქტორებს:

ა. "მეცნიერული" მიდგომა;
ბ. "რბილი" მიდგომა;
გ. "ექსპერიმენტული" მიდგომა;
დ. "მკაცრი" მიდგომა.

35. კვლევის ობიექტის მახასიათებლი თვისებების აღრიცხვის შესაძლებლობის მიხედვით სამეცნიერო კვლევისადმი მიდგომების კლასიფიკაციას არ მიეკუთვნება:

ა. რედუქციული მიდგომა;
ბ. სიტუაციური მიდგომა;
გ. კომპლექსური მიდგომა;
დ. კვლევითი მიდგომა.

36. იმ შემთხვევებში, როდესაც საკვლევი პრობლემა ან ობიექტი ნაკლებად შესწავლილია, როგორც წესი, გამოიყენება:

ა. კვლევითი მიდგომა;

ბ. კლინიკური მიდგომა;
გ. ანალოგური მიდგომა;
დ. საპროექტო მიდგომა.

37. მიზნების შესატყვისი ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებაზე ორიენტირებულია:
ა. რედუქციული მიდგომა;
ბ. სიტუაციური მიდგომა;
გ. კომპლექსური მიდგომა;
დ. კვლევითი მიდგომა.

38. კვლევის ობიექტის თვისებების ან გარე სივრცის ცვლილებაზე მიმართულია:
ა. კვლევითი მიდგომა;
ბ. კლინიკური მიდგომა;
გ. კომპლექსური მიდგომა;
დ. საპროექტო მიდგომა.

39. მოცებული საგნის მიმართ კავშირებისა და განზოგადებების გამოვლენის მიზნით ობიექტური რეალობის ყოველმხრივ შესწავლასა და შეცნობაზე ორიენტირებულია:
ა. კვლევითი მიდგომა;
ბ. ემპირიული კვლევა;
გ. კომპლექსური მიდგომა;
დ. თეორიული კვლევა.

40. მეცნიერების ფაქტებისა და მათი განზოგადების მიზნით ობიექტზე, პროცესების და მოვლენების კონკრეტულ შესწავლაზე მიმართულია:
ა. კვლევითი მიდგომა;
ბ. ემპირიული კვლევა;
გ. კომპლექსური მიდგომა;
დ. თეორიული კვლევა.